F293/ш 35 ~~622~~ /3

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

შაბათი, 1 იანვარი 1921 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—78, კანტორის 16—62

№ 1 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 1

დღეს მთელი საქართველოს დემოკრატია ეუბნება თავის ძვირფას სტუმარს—მასწავლებელს კარლ კაუცკის ნახვამდის, სასიხარულო შეხვედრამდის

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: [illegible], ალექსი და დიმიტრი პეტრეს ძენი კაჭარავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი მამის

პეტრე კაჭარავას

პანაშვიდი ყოველ დღე დ. აბაშაში საკუთარ სახლში.

(4181—3—3)

ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“

ჯერ-ჯერობით ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ გამოდის თვეში ორჯელ. ჟურნალში მოთავსებული იქნება სოციალისტური, პოლიტიკური, მეცნიერული ხასიათის წერილები; ისტორიული ცნობები სახალხო გვარდიის მოძრაობიდან; მხატვრული ნაწარმოები; ოფიციალური ცნობები მთავარი შტაბის; ომებში დაღუპულ მებრძოლთა სურათების და ბიოგრაფიების მოთავსება და სხვადასხვა. ჟურნალი ღირება 50 მანეთი. გამოვა ყოველთვის პირველს და 15 ს. გამოგზავნილი მასალები პროვინციებიდან უნდა შემოწმებული იქნას ადგილობრივ შტაბების სექციებისაგან. წერილები და ფული შემდეგი მისამართით: თფილისი მთავარ შტაბის კულტურულ სექციას.

(ნ. 5—3)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

სადღესასწაულო რეპერტუარი

დილით ბავშვებისათვის

შაბათს, იანვრის 1-ლს

კოტეს დანაშაული

შაბათს იანვრის 8 ს

მეორედ

გუშინდელნი

შაბათს, იანვრის 15 ს

მეორედ

კოტეს დანაშაული

დასაწყისი დილის წარმოდგენების დილის 12 საათზე.

საღამოთი.

შაბათს, იანვრის 1-ს

მესამედ მხიარული კომედია

ალლუმი

კვირას, იანვრის 2-ს

მსახიობის დღე

სამშაბათს, იანვრის 4-ს მესამედ

ანტიგონე

შაბათს, იანვრის 8-ს მეოთხედ

ალლუმი

კვირას, იანვრის 9 ს მეოთხედ

მსხვერპლი

სამშაბათს, იანვრის 11-ს მეხუთედ მხიარული კომედია

ალლუმი

ხუთშაბათს, იანვრის 13-ს მეექვსედ

ბერდო-ზმანია

შაბათს, იანვრის 15 ს პირველად

მარიამ მაგდალინელი

ელ. ალექსი მესხიშვილის მიზანსცენებით

კვირას, იანვრის 16 ს მეექვსედ

ალლუმი

დასაწყისი საღამოს წარმოდგენებისა საღამოს 8 საათზე.

(ნ. 1—1)

მსახიობის დღე

კვირას, იანვრის 2, 1921 წელს

მთელ საქართველოში გაიმართება

მსახიობის დღე

2 იანვარს ყველა დაბა ქალაქების თეატრებში და აუდიტორიებში გაიმართება საზეიმო საღამო-წარმოდგენები, ხოლო მეორე დღეს, იანვრის 3-ს ქუჩებში ივლის პროცესია, რომელიც გაჰყიდის საგანგებოდ გამოცემულ გაზეთს

„მსახიობის დღე-“ს.

თფილისში:

საღამო-წარმოდგენები გაიმართება:

სახელმწიფო ოპერის თეატრში, სახელმწიფო დრამის თეატრში, სახალხო სახლში, მუშათა კლუბში, ნაძალადევის თეატრში, მუშტაიდის კლუბში, ვერის აუდიტორიაში, ავჭალის აუდიტორიაში, [illegible] აუდიტორიაში, ავლაბრის მეხუთე ათასეულის თეატრში.

ადგილების ფასი ყველგან მომატებულია.

ქუთაისში და ბათომში

ადგილობრივ თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები, საუკეთესო ძალების მონაწილეობით. აგრეთვე საზეიმო საღამო-წარმოდგენები გაიმართება: ფოთში, სოხუმში, გორში, შორაპანში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ოზურგეთში, სამტრედიაში, დუშეთში, თელავში, სიღნაღში, ველისციხეში და სხვ.

მსახიობთა კავშირის საბჭო და მსახიობის დღის მომწყობი კომისია.

ერთი თვალის გადავლებით

რა მიიღო გასულმა წელმა წინა წლისაგან და რას გვიტოვებს 1921 წლისათვის?

1919 წელმა დაუტოვა გასულ წელს საშინელი საერთაშორისო კრიზისი, რომლის განვლებაზე მუშაობაც ამ ხანში მხოლოდ დაწყებული იყო, ამ კრიზისის მძაფრი კლანჭები ჩვენს ქვეყანასაც აგდებდა საშინელს სატანჯველში, რომელიც გამოიხატებოდა როგორც მის გარეშე მდგომარეობაში, ისე მისი შინაგან საქმეებში.

თუ 1919 წელი საქართველომ იმ ზრუნვაში გაატარა, რომ როგორმე თავი დაეცვა რუსეთის შავი რეაქციისაგან, რომელიც მაშინ წლის განმავლობაში დაუფარავად ლამობდა ჩვენი სახელმწიფოს ჩაყლაპვას, მთელი 1920 წ. მან მოანდომა თავის დაცვას ჩრდილოეთიდანვე მომდგარი ძალებისაგან—„წითელი“ რუსეთისაგან. იმ საშინელ სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში, რომელსაც ერთმანეთს შორის ეწეოდა შავი და წითელი რუსეთი, გასული წლის დასაწყისში გამარჯვება სულ უფრო და უფრო იხრებოდა წითლისაკენ, რომელიც ამ ხანებში უკვე უახლოვდებოდა კავკასიის საზღვრებს და შორიდანვე ცდილობდა ჩაეთრია საქართველო რუსეთის შინაურ ბრძოლაში. საქართველომ ამაზე მტკიცე უარით უპასუხა, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ აღიარა თავისი ნეიტრალობა და შეეცადა ამ ნეიტრალობის ნიადაგზე შეუვალი ციხე-სიმაგრე შეექმნა ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის შეკავშირებით. მან მოახერხა თავდაცვითი კავშირის შეკვრა მხოლოდ ადერბეიჯანთან, დენიკინელებზე გამარჯვებულ საბჭოთა ჯარების შიშით სომხეთის რესპუბლიკამ არ მოინდომა ამ კავშირში შესვლა.

რაც დრო გადიოდა, საბჭოთა ჯარების მოახლოვების სუსხი უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა. საქართველო სამხედრო ბანაკად გადაიქცა და მოემზადა თავგანწირული ბრძოლისათვის.

წითელი ჯარები ყოველმხრივ მოადგნენ მის საზღვრებს, მაგრამ ყველგან ჰპოვებს თავდასაცველად გამზადებული სამხედრო ძალა და დიდიხნით შეაჩერეს თავისი წინსვლა. ამიერ-კავკასიაში შემოსასვლელად მათ აირჩიეს ის ხაზი, რომელზედაც ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი მათ გადასწყვიტეს ადერბეიჯანის დაპყრობა. საბჭოთა ჯარების მოახლოვებამ მთლად მოშალა მუსავატელების მთავრობა და საბჭოთა ჯარები შევიდნენ ბაქოში უომრად—ჩქარი მატარებლებით. ადერბეიჯანი გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკად, რომელიც ფედერატიულ კავშირში უნდა ყოფილიყო საბჭოთა რუსეთთან. ადერბეიჯანის ჯარები აღმოსავლეთის მხრით მოუახლოვდენ საქართველოს, გაიმართა ომი, რომელიც რამდენისამე კვირის განმავლობაში დამთავრდა ადერბეიჯანის ჯარების სრული დამარცხებით. ომის შემდეგ შეკრული საზავო ხელშეკრულება გულისხმობდა რომ საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის უნდა დამყარებულიყო კეთილმეზობლური ურთიერთობა.

იმავ ხანებში, როდესაც რუსეთის ჯარები საქართველოს მოადგა ჩრდილოეთიდან და ადერბეიჯანის ჯარები კი—აღმოსავლეთიდან, საქართველოს მთავრობამ გაგზავნა მოსკოვში თავისი წარმომადგენელი მოსკოვის მთავრობასთან პირდაპირი მოლაპარაკების დასაწყებად. მოლაპარაკება დაგვირგვინდა 7 და 12 მაისის ხელშეკრულებით, რომელთა შინაარსიც გულისხმობდა, რომ საბჭოთა რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად იმ საზღვრებში, რომლებიც შეეფერება მის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ უფლებებს და სტრატეგიულ მდგომარეობას. საბჭოთა რუსეთი დაუშვებლად აღიარებდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას. მიუხედავათ ამ ფორმალური შეთანხმებისა, საქართველოს და საბჭოთა რესპუბლიკათა შორის შეხლაშეხლას ბოლო არ მოეღება საბჭოთა რუსეთიდან საქართველოში მოსული მისია იმყოფებოდა ადგილობრივი ბოლშევიკური მოღვაწეების გავლენის ქვეშ, რომლებსაც უნდოდათ გამოეყენებიათ რუსეთთან ზავი საქართველოში საბჭოთა წესების დასამყარებლად. მათი მადა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ჯარების შესევით შერყეულ სომხეთში საბჭოთა წესები იყო გამოცხადებული და, ამნაირად, საქართველო სამი მხრიდან საბჭოთა რესპუბლიკის რკალში მოექცა. სომხეთზე გამარჯვებული ოსმალ ნაციონალისტების ჯარები სამხრეთით, ახალშობილ საბჭოთა სომხეთი—მეორეს მხრით, ადერბეიჯანი—მესამეს მხრით, საბჭოთა რუსეთი—ჩრდილოეთიდან—აი ის ძალები, რომლებიც არტყიან ყოველმხრივ საქართველოს და რომლებთანაც ურთიერთობა არ არის იმდენათ მოგვარებული, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ უზრუნველყოფილად იგრძნოს თავი. და თუ საქართველო 1920 წლის დასაწყისში წარმოადგენდა საბრძოლველად განმზადებულს შეიარაღებულ ბანაკს, წლის დასაწყისშიც იგი ისევ სამხედრო ბანაკათ არის ქცეული და თავდაცვისათვის განმზადებული.

სხვა სახელმწიფოებთან გასულ წელს ბევრათ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა და ეს ურთიერთობა მეტად უფრო ნაყოფიერი გამოდგა. უკვე წლის დასაწყისში ანტანტის სახელმწიფოებმა საქართველო ფაქტიურად აღიარეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. საბოლოო იურიდიული აღიარება მოახდინა ჯერჯერობით საბჭოთა რუსეთმა და მხოლოდ გერმანიამ. მაგრამ ის მითქმა-მოთქმა და დიდი ყურადღება, რომლითაც ეპყრობოდნენ საქართველოს საკითხს გასული წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, სრულს იმედს იძლევა, რომ მისი იურიდიული ცნობაც ახლო მომავლის საქმე უნდა იყოს.

საქართველოს უდიდეს გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს მისი დასახიჩრებული ორგანიზმის გამომთელება ბათომის შემოერთებით. გასული წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ბათომის საკითხი უდიდეს სიმწვავით იდგა საქართველოსთვის. ამ ნიადაგზე მას დიდი შეტაკებები ჰქონდა თვით ინგლისთან, რომელსაც დროებით ეპყრა ბათომი. საქართველოს მტკიცე პოზიციამ და სამართლიანობამ და აგრეთვე ბათომის მხარის მცხოვრებთა მოთხოვნამ აიძულა ძლიერი სახელმწიფოები საქართველოსთვის დაებრუნებინათ ბათომი და მისი მხარე.

მაგრამ ყველაზე დიდ მოვლენად განვლილი წლის საქართველოს ისტორიაში დარჩება საერთაშორისო სოციალისტური პარტიების დელეგაციის მოსვლა საქართველოში. სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის უდიდესი მოღვაწენი ეწვიენ საქართველოს, საფუძვლიანად დაათვალიერეს იგი, შეისწავლეს მისი მდგომარეობა, გაეცნენ მის საქმიანობას და ევროპაში დაბრუნების ჟამიდანვე გასწიეს საქართველოს სასარგებლოდ ენერგიული აგიტაცია. ის ჭორიკანობის და ინტრიგების შხამი და ბალღამი, რაც ათეული წლობით ითესებოდა ევროპაში საქართველოს მტრების მიერ და რომელთაც ბრძოლა აღემატებოდა საქართველოს ძალას, სოციალისტურმა დელეგაციამ ერთის ხელის მოსმით აღმოფხვრა და დასავლეთის დემოკრატიას ახალ შუქში აჩვენა საქართველო. დელეგაციის ეს მუშაობა მომავალში კიდევ უფრო დიდი ნაყოფის გამოღებას გვპირდება.

ევროპასთან ურთიერთობის განმტკიცების საქმემ განვლილ წელს ძლიერ წინ წაიწია. საქართველომ გაგზავნა ევროპაში დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ეკონომიურ-ფინანსიური ძაფების გაბმა ევროპასთან. შემდეგ იქვე გაიგზავნა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი, მათმა მუშაობამ უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო.

საქართველოს წარმომადგენლებს მოუხერხებიათ რამდენიმე ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულობის დადება ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა კაპიტალის წარმომადგენლებთან. განვლილ წლის ბოლოში საქართველოს ცხოვრებაში მოხდა ერთნაირი გადატეხა.—აქამდის მკვდარ წერტილზე გაჩერებულ ეკონომიურ ცხოვრებაში დღეს ევროპიდან იჭრება ძლიერი გამაცოცხლებელი ნაკადი, რომელიც იმედს იძლევა, რომ ამიერიდან საქართველო დაადგება ეკონომიური აღორძინების და წარმატების გზას.

თუმცა საქართველოს ირგვლივ ცაზე შავი ღრუბლები მოსჩანს, მაგრამ მომავალ წელში მაინც უფრო იმედიანათ გადავდივართ, ვიდრე გადავედით განვლილ წელში.

დამფუძნებელი კრება გასულ წელს

საქართველოს აღმშენებლობითი მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს. დიდი რუსეთის რევოლიუციამ საქართველოში, რომელიც მაშინ მის ნაწილს შეადგენდა, სულ სხვა სახე და მიმართულება მიიღო, რაც განსაკუთრებით აღინიშნა რუსეთის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

ასე რომ საქართველოში, შეიძლება ითქვას, წარმოებს უკვე არა რუსეთის რევოლიუცია, არამედ საქართ. რევოლიუცია, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ისტორიას, ეკონომიკას და საერთოთ საქართველოს შინაგან ძალთა განვითარებას.

გზა დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ არჩეული ჩვენი რევოლიუციური მოძრაობის მიერ, წინააღმდეგ უმცირესობის ულმობელ დიქტატურისა და საშინელ ტერრორიზმისა, მოითხოვდა სულ სხვა აღმშენებლობით მუშაობას, ვინემ ის რომელსაც რუსეთის სინამდვილეში აქვს ადგილი...

აქედან წარმოსდგება განსხვავებული ხაზი საქართველოს დემოკრატიის მუშაობისა და მაშასადამე განსხვავებული მუშაობა დამფუძნებელი კრებისაც რომელიც ამ დემოკრატიის პირმშო შვილია და მისი ნების აღმსრულებელი საკანონმდებლო სფეროში.

მთავარი დასამუშავებელი საგანი, გასულ წელსაც იგივე ქონდა დამფუძნებელ კრებას, რაც წინა წელს. ე. ი. კონსტიტუცია, უფლებრივი წყობილების საძირკველი, რომელმაც უნდა განამტკიცოს ბატონობა ხალხის უმრავლესობის, და ამით მშვიდობიანი ფორმები მისცეს შინაგან ბრძოლას, ძალთა დუღილს და გადაქმნის პროცესს, რომლითაც ფეხმძიმეა დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა.

განხილვა კონსტიტუციის ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მისი ფორმები და სახე უკვე საკმაოთ ნათელია თვით საკონსტიტუციო კომისიის პროექტებში, რომელმაც საერთო მოწონება მიიღო მთელი დამფუძნებელი კრებისაგან გარდა სამიოდე ფანტაზიორისა. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია წინდაწინვე ვთქვათ, თუ რა შინაარსი და ფორმა ექნება ჩვენს კონსტიტუციას, რომელიც მოკლე ხანში გადაეცემა ხალხს დასადასტურებლად.

მეორე მთავარი სამუშაო დამფუძნებელი კრების იყო ბიუჯეტის საკითხი. ახალ სახელმწიფოს არ ქონია ბიუჯეტი, არც შეეძლო პირველ წელს იგი წარმოეშვა და თავის ცხოვრების ფინანსიური მხარე ამ მხრივ წინდაწინვე განსაზღვრულ კალაპოტში ჩაეყენებია. საერთო ფინანსიური არევ-დარევა და ეკონომიური ცხოვრების მოშლა, რაც აუცილებელი შედეგი იყო ომის და რევოლიუციის, ხელ უშლიდა ამ მხრივ დადებით და ნორმალურ მუშაობას.

ამ მხრივ დამფუძ. კრებამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმით, რომ დაამტკიცა ბიუჯეტი წარსულ წლის და შექმნა რა ერთგვარი კალაპოტი ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისათვის, შესაძლებელი გახდა უკვე ბიუჯეტის ფარგლებში მუშაობა, რამდენათაც მას არ არღვევს ულმობელი პირობები ეკონომიური კრიზისის და ბონების ფასების დაცემის. ფინანსების მოსაწესრიგებლად და საბანკო ოპერაციების გასაჯანსაღებლად შეიქნა დებულება სახელმწიფო ბანკისა, რომელმაც უკვე დაიწყო წელს მოქმედება. ეს ბანკი, შექმნილი დამოუკიდებლობის ნიადაგზე და დაქვემდებარებული პირდაპირ საკანონმდებლო დაწესებულებებზე, ეჭვი არაა მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებაში და ფულის ტრიალის მოწესრიგებაში.

გარდა ამ მთავარ მუშაობისა დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა მრავალი კანონები და დეკრეტები მომქმედ კანონების შესაცვლელად ახალი საფუძვლის ჩასაყრელად უფლებრივი ცხოვრებისათვის და ამ რიგად შესაძლებელი გახდა შექმნა საერთო კანონთა გადამსინჯავ კომისიის, რომელიც მოწოდებულია ყველა ჩვენში მომქმედი კანონები დემოკრატიულ პრინციპების და დამფუძნებელი კრების მიერ აღიარებული ძირითადი დებულებების მიხედვით გადაამუშავოს და ამ რიგათ ახალი, რევოლიუციის მიერ შექმნილი დემოკრატიული პირობების შესაფერი უფლებრივი ნორმები მისცეს ხალხს თავის ცხოვრების გარეგნულათ მოსაწესრიგებლად.

დიდი და რთული მუშაობა დასჭირდა დამფუძნებელ კრებას აგრეთვე გადასახადთა და ბეგრების სისტემის დასამუშავებლად ყოველდღიური მიმდინარე საჭიროებანი და საერთო დემოკრატ. მოთხოვნილებების შეგუება, შეთანხმება, მოითხოვდა განსაკუთრებით სიფრთხილის მუშაობის და კანონმდებლობას. ეს რამდენიმეთ უკვე დაამთავრა დამფუძნებელმა კრებამ, რამდენიმეთ კი უკვე დამუშავებული აქვს და მისაღებათ გამზადებული. და ახალმა წელმა ამ მხრივაც უნდა დაუყონებლივ დააგვირგვინოს ის, რაც დღემდე კეთდებოდა. წარსული წლის დასასრული არ არის ამავე დროს წლის თავი დამფუძნებელი კრების, მისი მოქმედების დამთავრებულ წლიურ სეზონს ჩვენ მივიღებთ მხოლოდ მარტში, რომლის 12 რიცხვს შეუსრულდება მას ორი წლის თავი და ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ვადაში დამფუძნებელი კრება დაამთავრებს იმ მთავარ სამუშაოებს, რომლისთვისაც ის მოწოდებულია და მეორე წლის თავის ამ გვარათ შეხვდება თავის ამომრჩევლებს—საქართველოს დემოკრატიას, საქართველოს ხალხს სრული ანგარიშით, რომელიც დააგვირგვინებს მის ამ ხნის განმავლობაში მოღვაწეობას.

გასული წელი და წითელი საქართველო

გასულ წელს საერთაშორისო და კერძოთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დღიურ წესრიგში იდგა ე. წ. რუსული საკითხი. ამ საკითხის მთავარი კვანძი იყო ბოლშევიზმი. როგორც დედამიწა ტრიალებს თავისი ღერძის გარშემო, ისე ტრიალებდა ირგვლივ ბოლშევიზმს მთელი დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკა.

ეს იყო პოლიტიკა ან მისი მომხრე, ან მის წინააღმდეგ მებრძოლი. თითქოს ორ ბანაკათ გაიყო ქვეყნიერება. ერთი გამოდიოდა ბოლშევიკური რევოლიუციის თანამგრძნობათ, მეორე მის მტრათ და უარმყოფელათ.

ბოლშევიკებს თანაუგრძნობდენ უფრო ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებში. მათი მსოფლმხედველობა ფეხს იკიდებდა იქ, სადაც მსოფლიო ომის გამო ნამეტნავათ ღრმავდა ნგრევა-რღვევის პროცესი. ნაკლები გავლენა ქონდათ ამ „ახალი რევოლიუციის“ მოციქულებს გამარჯვებულ ქვეყნებში. იქ ვერ დაიტყო კვალი ბოლშევიზმმა.

ბოლშევიზმს ებრძოდა ჯერ ძველი რუსეთი—რუსეთის დრომოჭმული საზოგადოებრივი წრე. ამ წრეს ხელში ეკავა რეაქციონური დროშა. ის სარგებლობდა ბურჟუაზიული ევროპის დახმარებით. ეს იყო ინგლის-საფრანგეთის და რუსეთის შეიარაღებული შეთანხმება ბოლშევიკური წეს-წყობილების შესამუსრავათ.

ამ სამოქალაქო ომში გაიმარჯვა ბოლშევიკების „წითელმა“ იარაღმა, ოქტომბრის რუსეთმა. ამ გამარჯვებით გათავდა გასული წელი.

მაგრამ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიოდა არა მარტო რუსეთის რეაქცია და ევროპის ბურჟუაზია [illegible]

საქართველოს შეიარაღებულ ძალას—ჯარსა და გვარდიას

საქართველოს დამოუკიდებლობის თავდადებულ დარაჯთ—სახელოვან ჯარს და გვარდიას მიულოცავ ახალ წელიწადს და ვუსურვებ წელსაც ისე მამაცურად მდგარიყვნენ თავის პოსტზე, როგორც იდგნენ წინა წლებში.

საქართველოს დემოკრატია, მთელი ჩვენი ერი, თქვენ შემოგყურებთ, თქვენზე ამყარებს თავის იმედებს და თქვენ ამ იმედს სავსებით გამართლებთ,—სამშობლოს კერას ძველებურათ, ქართველურად დაიცავთ და მით თავის მოვალეობას ბოლომდის შეასრულებთ.

გაუმარჯოს საქართველოს ლაშქარს, გაუმარჯოს ჩვენ ჯარს და გვარდიას.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მოწინააღმდეგე ბანაკში იბრძოდა რუსეთის და ევროპის დემოკრატიაც. თავისი საკუთარი სახე ვერ გამოიჩინეს დემოკრატიულმა წრეებმა. ვერც რუსეთში ვერც ინგლის-საფრანგეთში ისინი ვერ გაიმიჯნენ ბურჟუაზიულ რეაქციონური ძალებისაგან. კადეტები, სახალხო სოციალისტები (ნაროდნიე სოციალისტი), სოციალისტ-რევოლიუციონერები (პატარა მემარცხენე ჯგუფის გარდა), სოციალ-დემოკრატების დიდი ნაწილი—ყველა ესენი პოლიტიკურათ და ზნეობრივათ გაითქვიფენ დენიკინ-კოლჩაკის რაზმებში, ან ამ რაზმების მახლობლად.

ვერ გამოცალკევდა რუსეთის დემოკრატია და ვერ უთხრა ძველი დროის გმირებს—არ არის თქვენი საქმე მომავლისთვის ბრძოლა, მე თითონ გაუსწორდები ბოლშევიზმს და თითონვე გამოვიყვან სამშვიდობო გზაზე სახელმწიფოს გემსო. ვერ გამოცალკევდა ვერც დასავლეთ-ევროპის დემოკრატია, ვერ უთხრა თავისი ქვეყნების გამეფებული წრეებს,—ნუ ერევით რუსეთის საქმეებში ნუ ეხმარებით იქაურ რეაქციას, ბოლშევიზმი ან უნდა დამარცხდეს დემოკრატიის ხელით, ან სულ შეუძლებელი იქნება მისი დამარცხებაო. რუსეთის და დასავლეთის დემოკრატიამ ვერ გამონახა თავისი გზა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამაში იყო დემოკრატიის სისუსტე, და ამ სისუსტეზე აშენდა ბოლშევიკების „სიძლიერე“. დემოკრატიამ ვერ შესძლო ბრძოლის მეთაურობა და ამითი აიხსნება ბოლშევიკების გამარჯვება. ბრძოლის ველზე, პირისპირ ისინი ხედავდენ მარტო რეაქციას. რეაქცია კი წყალს ასხამდა მათ წისქვილზე, მათ სასარგებლოთ ატრიალებდა წისქვილის ბორბლებს.

ბოლშევიკებმა ყველგან უკან დაახევინეს შეიარაღებულ ძალებს, გაიქცნენ და გადვიდენ შავ ზღვის მეორე ნაპირზე რუსეთის რეაქციის ბურჯები.

უკან დაახევინეს რუსეთის დემოკრატიასაც. გადვიდენ საზღვარგარეთ და გადასახლდენ ევროპის სხვადასხვა კუთხეებში თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიები. საზღვარ გარეთ ქმნიან ახლა ისინი პარტიულ ორგანიზაციებს, იქ სცემენ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, იქიდან ცდილობენ პროპაგანდა აგიტაციის საშუალებით გავლენა მოახდინონ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

უკან ვერ დაახევინა ბოლშევიზმმა მხოლოდ იმ დემოკრატიას, რომელიც ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ეკედლებოდა გარეშე ძალებს, არ ემხრობოდა და არც საშინაო და არც საგარეო რეაქციას. ეს იყო საქართველოს დემოკრატია. ის მიდიოდა თავისი გზით მარჯვენითაც და მარცხნივაც გამიჯნული. ის იბრძოდა პრინციპებით და არა იარაღით. საქართველოს დემოკრატიულმა პრინციპმა დაამარცხა რუსეთის ბოლშევიკური იარაღი. ბოლშევიზმს მქონდა ერთი დადებითი მხარე. ამას არ გაუწიეს ანგარიში სხვაგან დემოკრატიულმა წრეებმა, და ამაშია მათი უდიდესი შეცდომა. ბოლშევიკები ტანჯავენ მშრომელ ხალხს, ჯოჯოხეთურ პირობებს ქმნიან მისთვის, მაგრამ მათი სული და გული, მათი სუბიექტიური მისწრაფება მიმართულია მშრომელი ხალხისკენ. არაფერი არ გამოუდით მუშა-გლეხობის სახეიროთ, მაგრამ მუშა-გლეხობაა მათი მზრუნველობის საგანი.

ამით აიხსნება, რომ ბოლშევიკებისაგან დატანჯული მუშები და გლეხები მაინც ბოლშევიკებს უჭერენ მხარს, როცა ხედავენ მათ წინააღმდეგ მიმართულ თოფ-ზარბაზნებს. ამით აიხსნება ისიც, რომ მუშები და გლეხები უნდობლობით უყურებდენ ყველას, ვინც ითქვიფებოდა შეიარაღებულ რეაქციონურ ძალებში. უნდობლობა გამოუცხადეს იმ დემოკრატიასაც, რომელიც ვერ გაიმიჯნა ამ ძალებისაგან, თუმცა საბოლოოთ ეს დემოკრატია ხელმძღვანელობდა კარგი განძრახვით.

დემოკრატიულ საქართველოში არ დაუშვებულა ამისთანა შეცდომა. საქართველოს დემოკრატიამ შეამჩნია ბოლშევიზმის სუბიექტიური მხარე და არ მიემხრო მის მოწინააღმდეგე სხვა კლასებს, გარეშე წრეებს. ამითი შეინახა სხვათა შორის, თანამედროვე საქართველომ დიდი ნდობა, რუსეთის და დასავლეთ ევროპის მუშათა წრეებშიაც.

ბოლშევიკები არ იზოგავდენ ძალ ღონეს და ცდილობდენ დაენახვებიათ მთელი ქვეყნისთვის, რომ ჩვენ ვიყავით ინგლის-საფრანგეთის ლაქიები, დენიკინის აგენტები, მუსავატის და დაშნაკელების სულიერი ნათესავები. ამ გზით უნდოდათ [illegible] ჩვენი სახელი და აემხედრებიათ ჩვენს წინააღმდეგ მეზობელი ქვეყნების მშრომელი ხალხი. არ გაუვიდათ ეს. დამარცხდნენ. გვიცნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და დაიკავეს ჩვენთან კეთილ-მეზობლური განწყობილება.

მეგობრულათ გამოგვიწოდეს ხელი, უბეში კი ქვა შეინახეს ჩვენსკენ სასროლათ. უნდოდათ შიგნიდან გამოეწვიათ ჩვენი მართვა-გამგეობის საწინააღმდეგო მოძრაობა, უნდოდათ რომ აქაურ მშრომელ ხალხს დაეძახნა მათთვის,—მოდით, დაგვიხსენით აქაური მმართველი პარტიისაგანო. ამაზე იყო აგებული მთელი მათი მუშაობა საქართველოში. აქაც დამარცხდენ. მუშა გლეხობაში ვერ იპოვნეს, რასაც ეძებდენ. ეკონომიურათ გაჭირვებულმა ხალხმა შეჰკრა ფრონტი ბოლშევიკების მოსაგერებლათ სწორედ იმ დროს, როცა ამ გაჭირვების მღვრიე წყალში ბოლშევიკები ცდილობდენ თევზების ჭერას.

დემოკრატიულ საქართველოსთან ბრძოლაში ბოლშევიკები დამარცხდენ გარედან და შიგნიდანაც. ამ დამარცხებით გათავდა გასული წელი.

ბოლშევიზმმა დაამარცხა შეიარაღებული რეაქცია, მაგრამ თავისი სამარი დროშა ძირს დაუშვა მშვიდობიანი დემოკრატიის წინ. ეს გამარჯვება-დამარცხება ნიშნათ აძევს გასული წლის პოლიტიკურ ცხოვრებას და ამ ნიშნით შევა ის აწინდელ ისტორიაში.

დამარცხება განიცადა ბოლშევიკურმა მსოფლ-მხედველობამ საერთაშორისო მუშათა კლასშიაც. ეტყობოდა, ვითომ, სიცოცხლე გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში. იყო ევროპაში აქა იქ ისეთ რაზედაც მოსკოვის ბოლშევიკები ამყარებდენ თავისი მომავლის იმედებს. მაგრამ ნაპერწკალი ჩაჰქრა ყველგან, არსად არ გადაიქცა ალათ.

მსოფლიო რევოლიუციას დღეს დღეობით ძალიან ცუდი პირი უჩანს. ტალღა ზემოთ არ იწევს. ეცემა თან და თან. ბოლშევიკების გამო ევროპაში ახლა სოციალისტებისაც ეშინიანთ. სახელმწიფო და ადგილობრივ არჩევნებში ბევრგან დამარცხდენ სოციალისტები, ბევრგან გაიმარჯვეს უფრო მემარჯვენე წრეებმა. საქსონია, მაგალითად, ყველასთვის ცნობილი იყო თავისი სოციალისტური სიწითლით, იქიდან ძველ დროშიაც გამოდიოდენ რევოლიუციონური სოციალ დემოკრატები. დღეს იგივე საქსონია შეღებილია სულ სხვანაირი ფერით. სოციალისტებმა აქაც კი დაჰკარგეს თავისი სიმაგრე.

დასავლეთი წასულია ბოლშევიკების ხელიდან. არიან მხოლოდ ბოლშევიკური ჯგუფები გერმანიაში, ინგლისში საფრანგეთში. არიან ამ ჯგუფებში მემარცხენე ფრთები. ამათი იმედი არ აქვს მოსკოვს. ლენინი ამათ სასაცილოთ იგდებს. საყმაწვილო ავადმყოფობას ეძახის ლენინი ამ მემარცხენეობას. არც მემარცხენე და არც მემარჯვენე კომუნისტურ ჯგუფებს ევროპაში არ აქვთ არავითარი გავლენა. საფრანგეთში და იტალიაში სოციალისტური პარტიის ჯგუფებმა გამოუცხადეს თანაგრძნობა ბოლშევიკურ „რევოლიუციას“, მაგრამ ისინი ჩამოშორდენ მუშათა კლასს.

მოსკოვის ინტერნაციონალი წავიდა ევროპის მუშათა კლასთან თავისი დიქტატურით,—გინდათ თუ არა ჩემსავით იარეთ, მე მომყევით, ჩემებურათ იწამეთ საბოლოო მიზანიც და მისი მისაღწევი საშუალებებიცაო. ევროპის მუშათა კლასი არ დაემორჩილა მოსკოვის დიქტატურას. აქაც დამარცხდა ბოლშევიზმი ეს დამარცხებაც ერთ ერთი დამახასიათებელი ნიშანია გასული წლისთვის.

ევროპის მუშათა კლასისგან უარყოფილმა ბოლშევიზმმა მიმართა ისევ ევროპის ბურჟუაზიას და მოიწვია თავის სახლში წარმოების მოსაწყობათ, ბუნებრივი სიმდიდრის დასამუშავებლათ. ბურჟუაზია პირობას სთხოვს,—იცანი და საქვეყნოდ აღიარე კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაო. ბურჟუაზიული ევროპა „სოციალისტურ“ რუსეთს დანას აწოდებს და ეუბნება,—შენივე ხელით გამოიჭერი ყელიო. ბოლშევიზმი იძულებული გახდება უცხოელ კაპიტალისტებთან ხელშეკრულებაში მიიღოს ეს პირობა, იცნოს კერძო საკუთრება. ეს იქნება სოციალიზმის ძირითადი დებულების უარყოფა.

ბოლშევიკურმა „სოციალიზმმა“ იარაღი დაუყრევინა თავის აშარებელ მტრებს და ახლა მზათ არის სიცოცხლეს გამოემშვიდობოს საკუთარი იარაღით. ბოლშევიზმი ამარცხებს თავის თავს. ამ დამარცხების გზაზე ის შედგა მაშინ, როცა ეჭვი არ ებადებოდა საქვეყნო გამარჯვებაში. გასული წლის მიწურულმა დაანახვა ბოლშევიკებსაც, რომ ისტორია თავის ჭკუაზე გადაატრიალებს ყველას, ვინც მოინდომებს მის გადატრიალებას.

ევროპაში მიუღებელი ბოლშევიკური „რევოლიუცია“ გაემგზავრა აზიისაკენ, შეიჭრა სპარსეთში, ადერბეიჯანში, სომხეთში, ხელი ჩამოართვა ოსმალეთს, მაგრამ აღმოსავლეთში ვერაფერი დაინახა საიმედო. სთქვა თავის „კომუნისტურ ინტერნაციონალში“ (რუსული ჟურნალია), რომ იქ მუშათა კლასი კი არა გლეხობა ყოფილა უმრავლესობა, და ის ვერ გაიგებს რევოლიუციონურ გზას, თუ სოციალისტური ევროპა არ გაუძღვა წინო.

ასე დამარცხდა გასულ წელს ბოლშევიკების აღმოსავლეთური მსოფლმხედველობაც.

საერთაშორისო დემოკრატია წინმსვლელობის გზაზე ვერ გამოიყენებს ბოლშევიზმს, როგორც აუცილებელ საფეხურს, როგორც დასაყრდენ წერტილს. ის ისარგებლებს მხოლოდ მისი უარყოფითი გაკვეთილებით. ივლის იმ გზით, რომელიც არ დაუკარგავს პატარა საქართველოს ამ დიდი რევოლიუციის დროს. ევროპის მომავალი რევოლიუციონური გზა იქნება საქართველური, რადგან საქართველოს გზა იყო ევროპიული. საქართველომ დაამტკიცა რომ გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ამ გზით.

თუ საქართველო ვერ გავაწითლეთ, დასავლეთის იმპერიალისტებს ვერაფერს დავაკლებთო,—ფიქრობდენ და ამბობდენ ბოლშევიკები. საქართველო არ „გაწითლდება“, რადგან ამ სამი წლის განმავლობაში ის ინახავდა ნამდვილ სიწითლეს. მისი პოლიტიკა საშინაო და საგარეო კითხვებში იყო სოციალისტური. ის იდგა და დგას იმ წითელი დროშის ქვეშ. რომელიც პირველათ აიმართა ევროპაში მარქსის და ენგელსის ხელით.

ამ დროშით ემშვიდობება საქართველო გასულ წელს და ამითივე გადადის ახალ წელში.

ს. დევდარიანი.

წარსული წლის სალიტერატურო მიმოხილვა

ბრძოლის დროში ვცხოვრობთ. ჩვენი თვალისწინ ინგრევა ძველი, შენდება ახალი.

ზოგი უკან იხედება,—იქ დარჩენია იმედიც ზოგი წინ მიისწრაფის.

კვნესა, უიმედობა, გატაცება, თავდავიწყება, სევდა, ბრძოლის ყიჟინა—ყოველივე ერთად არის ერეული.

იმედი დამსხვრევა და იმედის გამართლება, დამარცხება და გამარჯვება—აი ჩვენი დრო.

ასეთი პირობები უფრო მოქმედებას იწვევენ, ვიდრე ხელოვნების შემოქმედებას, მაგრამ გასულ წელს ხელოვნებაც იზრდებოდა, სიტყვაკაზმული მწერლობაც ვითარდებოდა.

მწერლობა ცხოვრების სარკეა, რომელშიაც ყოველი კლასი ჰხედავს თავის სახეს.

მუშათა კლასმა უდროოთ დაჰკარგა ნიჭიერი მგოსანი ნოე ჩიკვაძე.

მე მიყვარდა მხოლოდ წინ ვლა, ბრძოლა-ხმაური.

ხშირად სევდიანი, ბედის მომდურავი მუშა ხალხის მომავალს იმედის თვალით შესცქეროდა, სწამდა საბოლოო გამარჯვება პროლეტარიატისა და აღზნებული, ცეცხლიანი უხმობდა მას წინ, ბრძოლისაკენ უკეთესი მომავლის მოსაპოვებლათ.

ნოე ჩიკვაძე სიყვარულის მგალობელია. მთელი მისი პოეზია სიყვარულია ადამიანისადმი.

სიყვარული მხოლოდ იქ არის, სადაც თავისუფლებაა. თავისუფლების მოპოვება კი მხოლოდ ბრძოლით შეიძლება.

ვინ არის მებრძოლი?

მხოლოდ მუშათა კლასი, რადგანაც ბრძოლის ცეცხლი ჩნდება მარტო ოფლისა და შრომის შეერთებით.

გაუმარჯოს მაშ შრომის შვილს!
გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას!

მთელი პოეზია მგოსნისა უნაზესი ძაფებით არის მოქარგული. მისი გრძნობა მეტად გულწრფელია, წარმტაცი, მისი ხმა მეტად გამამხნევებელი.

შრომის მონის ხუნდი! გაბედულათ აწიე ქედი!
და გამოსჭედე, დაჩაგრულო, შენ შენი ბედი!

ნოე ჩხიკვაძის პოეზია სარკეა მუშათა კლასის სულისა. მეტწილ სევდიანი, მაგრამ მუდამ იმედიანი, ზოგჯერ ეჭვით შეპყრობილი, მაგრამ მუდამ ბრძოლის ცეცხლით ანთებული,—აი ნოე ჩხიკვაძე.

ასეთია მუშა ხალხიც: მას სჩვევია სევდიანი ფიქრი, მაგრამ სასოწარკვეთილება არასოდეს; მას სწამს თავისი საბოლოო გამარჯვება და ბრძოლისათვის მუდამ მზად არის.

გასულ წელს გამოვიდა ლექსთა კრებული ქუჩიშვილისა, ბალდახინი კოლაუ ნადირაძისა, დაბინდული ქარვები რაჟდენ გვეტაძისა, მინანქრები შალვა ამირეჯიბისა, ზღაპრები ვარლამ რუხაძისა, ლექსები ერთაწმინდელისა, ზამთრის ჩუქურთმა რაულ გოგოხიასი და სხვ.

ერთი წლისათვის მოზრდილი ტვირთია.

ქუჩიშვილი ჩამოყალიბებული და თავისი მიმართულებით მუშა ხალხის მგოსანია. მისი პოეზია, გრძნობით, სევდით, გატაცებით და ბრძოლის ცეცხლით არის სავსე, ასეთია მისი კრებულიც, მისი ენა სადაა, ლექსი ცოცხალი, მუსიკალური.

პოეტს დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ სიღრმე აკლია.

თვითონ პოეტი ასე ახასიათებს თავის შემოქმედებას:

მე ზარი ვარ მოგუგუნე,
მოწოდების ზარი!
და ჩემს რეკას ყველგან ისმენს
შრომის შვილთა ჯარი!

კოლაუ ნადირაძე და რაჟდენ გვეტაძე ერთი მიმართულების მგოსნები არიან და ბევრი რამე აქვთ ერთმანეთში საერთო.

ნადირაძეს უყვარს ბუნდოვანათ, გაუგებრათ წერა. ეს საერთო თვისებაა ყველა სიმბოლისტებისა. ზოგიერთ მათგანს ბოდვა აზროვნების საუკეთესო ნიმუშათ მიაჩნია, ალბათ ამიტომა ჰყავთ პატივისცემაში შეშლილები და გიჟები.

მეორე თვისება ნადირაძის პოეზიისა სინამდვილის უარყოფა არის.

სამყარო მატყუარია, სიცოცხლე საშინელებაა, ხსნა არსად არის, ამიტომ იწამე უფრო ჩვენი ლანდური, აცხადებს პოეტი.

როდესაც ის თავის გრძნობას წრფელათ და ბუნებრივათ ასახიერებს, მისი ლექსიც ძლიერია.

ნადირაძე დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის გარეგნობას, რითმას და იმის პოეზიის მუსიკალური ლექსი ახასიათებს.

სიმბოლისტებში გვეტაძე უფრო რეალისტია. ბუნდოვნათ წერა, უაზრო რითმები ალაგალაგ მასაც სჩვევია, მაგრამ იმის დაბინდულ ქარვებში ბლომათ არის სინამდვილის გამომსახველი ლექსი.

ამ მხრივ გვეტაძე ზოგჯერ აჭარბებს კიდეც და ნატურალიზმსა და პორნოგრაფიაში გადადის.

გვეტაძე პირად გრძნობათა პოეტია და ცდილობს თავისი სულიერი განცდა ლამაზ ჩარჩოში ჩამოასხას. რითმა ნამეტანი უყვარს: რითმის გულისათვის აზრს დასთმობს, ხალხი აზრის გულისათვის რითმას არასოდეს. შალვა ამირეჯიბის ლექსებს ძველი პოეზიის—ბარათაშვილის და ორბელიანების გავლენა ეტყობა და პოეტურ ზომიერებასა და სიდარბაისლეს ატარებს. მყვირალა ფრაზები, ყალბი გრძნობა მას არა აქვს და საერთოთ მისი პოეზია შინაარსიანია და მუსიკალური. მეტად ნაყოფიერი იყო გასულ წელს ობოლი მუშა. დიდი ხანი არ არის, რაც ის პოეზიის ასპარეზზე გამოვიდა და უკვე საკმაოთ გაიზარდა.

მკაფიო ნიჭი, მოუსვენარი სული, მდიდარი გრძნობა და აზრი—აი ობოლი მუშის ღირსებანი.

პოეტის პირველ ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს მიჯნურობას. შემდეგ და შემდეგ ამ ნაკლს თანდათან იცილებს და მდიდრდება მრავალ-ფეროვანი განცდით; ამავე დროს ფორმა მისი ლექსისა თანდათან ლამაზდება.

ობოლი მუშა პროლეტარიატის მგოსანია. სევდა მისი ხშირათ მეტათ ნაზი და ღრმა არის, მაგრამ სასოწარკვეთილებას, დაცემას იმის პოეზიაში ალაგი არა აქვს. პოეტის აზროვნება რწმენის ჩირაღდნებით არის განათებული. მას უყვარს მუშათა კლასი, იტანჯება მისი ტანჯვით, გაცხოველებულია მისი იმედებით და იცის, რომ მომავალი მუშა ხალხს უმზადებს სრულ გამარჯვებას.

ერთობასა და ცისარტყელაში იბეჭდებოდა ხარიტონ ვარდოშვილის ლექსები.

პოეტი ჯერ მეტათ ახალგაზრდაა და გზების ძიებაშია.

მოუსვენარი ფიქრი და მტანჯველი სევდა ახასიათებს იმის პოეზიას.

დიდი გავლენა ეტყობა სიმბოლისტებისა.

სიმბოლისტების პოეზიის ფორმა სრულებით მისაღებია და მისა აქვს მომავალი; შინაარსი კი წარსულს ეკუთვნის და დემოკრატიისათვის სრულიად მიუღებელია.

ევროპის სიმბოლიზმი დამარცხების აჩრდილით დაფრთხალი ბურჟუაზიის სულისკვეთებაა.

სიმბოლიზმის შინაარსი ხარ. ვარდოშვილს არ გამოადგება და რაც ადრე განთავისუფლდება მისი ბურუსისაგან, მით უმჯობესია.

ხარიტონ ვარდოშვილს ნიჭი აქვს, მაგრამ ჯერ დიდი შრომა სჭირდება.

ცხოველი ნიჭია იასამანი, რომლის ლექსებიც ცისარტყელაში იბეჭდებოდა. პოეტი ლირიკოსია და მისი თვისებაა მდიდარი, წრფელი გრძნობა და ნათელი აზრი.

პოეტის შემოქმედება სევდის ზეწარშია გახვეული. მისი სევდა უფრო ფილოსოფიურია, როგორც ბარათაშვილისა.

მგოსანი ყოველ მოვლენაში აზრს ეძებს და ცდილობს, ბუნების საიდუმლოების ფარდა ახადოს.

ნაყოფიერი იყო გასულ წელს აბაშელიც.

პოეტის შემოქმედება ორ ხანათ იყოფა: პირველ ხანაში ის ბუნების სილამაზით დამთვრალი მგოსანია და ამავე დროს საზოგადოებრივი სევდის მატარებელი. მეორე ხანაში ის კარს ჩაიკეტავს საკუთარ სულში და პირად განცდათა მგოსანია.

პოეტის უკანასკნელ ლექსებს ახასიათებს გრძნობათა სინაზე, ღრმა სულიერი განცდა, წყნარი, მშვიდი სევდა.

ცრემლმა დამტვირთა ჩემი სიტყვები,
დაუსრულებელ სიმწუხარეში,
და დამრჩა მხოლოდ ძვირფასი ძმები
მოგონებათა უცხო მხარეში.

აბაშელის ლექსი მუდამ მუსიკალური იყო და ფორმით მდიდარი. ამ მხრივ პოეტმა კიდევ გადადგა დიდი ნაბიჯი წინ და დღეს მისი ლექსი საკმაოდ დამთავრებულია.

იმედის ნაპერწკლებსა და ბრძოლის ცეცხლს აფრქვევდა გასული წლის განმავლობაში ვარლამ რუხაძის მუზა.

ვარლამი მუშური აზროვნების, გრძნობის, სევდის, იმედის და სიმტკიცის გამომხატველია. ის მთლიანი პიროვნებაა, მისი შინაგანი არსება არ არის გაორებული სხვადასხვა იჭვითა და სარწმუნოებით.

შავი ფიქრები მასაც სჩვევია, მაგრამ ის თვითონ სძლევს ასეთ ფიქრებს და იმედიანათ მღერის:

მაგრამ გული კვლავ მღერის,
სევდა არ ეკარება.

ვარლამი ბრძოლის, რევოლიუციის და გამარჯვების მგოსანია. მუშა ხალხის დროშა მხნეთა და მტკიცეთ უპყრია ხელთ და იმედით სავსე სიმღერით მიუძღვის წინ, უკეთესი ცხოვრებისაკენ.

სადაც სევდა არ სტირის, არც
კვნესს ფიქრი ჩაგრული,
სიყვარულზე მღერიან შვების
ფარშევანგები!

გასულ წელს გამოვიდა ცალკე წიგნათ მგოსნის ზღაპრები. ყოველი ზღაპარი საუცხოვოა როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

დიდ სამსახურს გაუწევს პოეტი ხალხს და ახალთაობას, თუ საუკეთესო ზღაპრებს თავისებურათ გალექსავს და პატარა წიგნის შემდეგ მთელ ტომს გამოსცემს ზღაპრებისას.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღეს არაგვისპირელმა და კლდიაშვილმა. გასული წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ცისარტყელაში არაგვისპირელის გაბზარული გული და ჯერაც არ დამთავრებულა. ამის მიზეზია ბელეტრისტის ავათმყოფობა.

მოთხრობას არაკის ხასიათი აქვს, მაგრამ მეტათ აზრიანია, შინაარსიანი და საუცხოვო ენით დაწერილი. უფრო ძლიერია პირველი ნახევარი—ეთერის გათხოვებამდე.

მახარეს სულიერი დრამა საუცხოვოთ აქვს არაგვისპირელს აწერილი, ხოლო ეთერის დახასიათებაში არის ყალბი, არაბუნებრივი ადგილები.

საჭიროა, რომ გაბზარული გული მალე გამოვიდეს ცალკე წიგნათ.

(დასასრული იქნება)

ივ. გომართელი.

მილოცვები

1.

მეკვლე.

მეკვლე ვარ! კარი გამიღეთ!
მოვდივარ გახარებული!—
უწინამც თვალი დამიდგეს,
თუ დამხვდით [illegible]!
მოვდივარ! მოვაფრიალებ
ახალ-წლის დროშა—ალამსა;
აღტაცებული გიგზავნით
ძმობა ერთობის სალამსა!
მოვალ, თან მომაქვს სიამე,
გულითა მხიარულითა!
ღმერთმა გაშოროთ სიმწარე,
აგავსოთ ტკბილეულითა!
იცოცხლეთ, იბედნიერეთ,—
ნუ დაეცემით სულითა;
წინ დახვდით მტერს და განსაცდელს
გაუტეხელის გულითა!
მოვედ ვარ! მომიხარით!
გილოცავთ ხონჩა ძღვენითა!
ღმერთმა მრავალს წელს დაგასწროთ,
აგავსოთ შვება-ლხენითა!

2.

[illegible]

არ ვეპუები სიცივეს,
არც შიში მაქვს თოვლისა;
მსურს მშობელს მივულოცო
უპირველესად ყოვლისა!
მშობელი საქართველოა,—
აკვანი ჩემის ყრმობისა,
მან მიგალობა ალერსით
ნანინა მწარ ტკბილ გრძნობისა,
მანვე მასწავლა სიმღერა
უშიშარ რაინდობისა
და მასვე უნდა მივუძღვნა
ჰიმნი უკვდავი ტრფობისა!

3.

სამშობლოს.

ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
ჩემო ძუძუვ და მშობელო;
მრავალ ტანჯვათა ამტანო,
გულში ცეცხლ-გაუქრობელო;—
დღეს ბედი შენი გაღიმის,
ბედი, ქედ-ბედი, მზიური;
ველარ გაშინებს მტრის რისხვა,
ვერც საფრთხე ყოველდღიური;
სდგეხარ ქედ-ამოლლებული,
როგორც მთა ტიტანიური!

4.

ერს.

ერო ქართველო,
ნათელო,
მმართველო
შენის თავისა
უამრავ ჭირთა მნახველო,
მძრახველო
ყველა ავისა;
ამირან გმირის სახელო,
ჭირიმე შენის მკლავისა!
ბნელ აზიაში ერთად-ერთ
ობოლ ვარსკვლავად ციალებ,
თავისუფლების ტრფიალით
გულს ღვთიურ ცეცხლით იხლებ,
ლხინის დროს ლხინს არ [illegible],
ომში [illegible]
და დროშას საქართველოსას
ხმლით ხელში დააფრიალებ!

5.

პროლეტარიატს.

სალამი თქვენდა მუშებო,
ბურჯებო მთელი ერისა;
კაცობრიობის ჯავარნო,
გვირგვინნო შრომის კერისა!
მუშებო! თქვენის მარჯვენით
ქვეყანა აგიშენიათ,
[illegible] ძმებო უღელში,
ერთხელ არ შეგიშინებიათ,
ბევრი შავი დღე განახვით,
მრავალი ოფლიც ღვრილი,
მაგრამ ჯან-ღონეებული
ბერმაც მოგელებიანთ!

დღესაც მხნედ დახვდით [illegible],
ნუ მიეცემით სევდასა;
ნუ გაახარებთ თქვენზედა
მოშურნე მტრის დედასა!

დაირაზმეთით მუშებო,
აამოქმედით ძალები;
სირცხვილის ოფლში [illegible]
[illegible] და მაჩანჩალები!

ალაგმეთ, ძმებო, ალაგმეთ
ცხოვრების ნაძირალები;
ფეხ-ქვეშ არ გაითელებით
სამშობლო განაწვალები;
ყველა ორგულს და [illegible]
ფხიზლად ადევნეთ თვალები;—
დასძახეთ ძმური სიმღერა,
თქვენს სიამეს ვენაცვალე!

6.

გლეხ-კაცობას.

სალამი სოფლის მშრომელ ხალხს,
სალამი გლეხ კაცობას,
დღეს რომ ქალაქის მუშებთან
ეწევა მტკიცე ძმობას,
არც რომ სხვას იხუის მონობა
და არც თვით ნდობს [illegible]

თავზედაც შემოვლებით
მთა ხანსა მინდორ-ველებისა,
ღვთისაგან ნაკურთხ ბუნებისა,
ბარ-ნიაღის, ნაგავი ცელისა,
მზით დამწვარ გ[illegible] გულმკერდისა
და ბარაქიან ხელებს!

7.

გვარდიას.

ჩემი მხურვალე სალამი
გულ-მედგარ შვილებს ერის,
დედა-სამშობლოს საზღვრებზე
მოვახლე მეომრებისა,
თავისუფლების გუშაგებს
და ქვეყნის დამცველებსა!
ვაშა, ჩვენს ამპარტავნებს,
ჩვენს მამაც გვარდიელებს,
შოთა რუსთველის რაინდებს,—
ავთანდილ-ტარიელებს,—
ქაჯეთის ციხის ამღებთა,
ნესტანის გამომხსნელებს!

8.

ჯარს.

გამარჯვება რესპუბლიკის
ახალგაზრდა ჯარებს,
მზეს რომ ჰფიცავს
და ხმლით [illegible]
ყველა [illegible] კარებს!
მჯერა და მჯერა, რომ ეს ჯარი
შიში არ გაიკარებს,
თავს დასდებს და თავის დროშას
მტერს არ ჩააბარებს!

9.

გმირთა საფლავს.

დიდება გულად [illegible],
ბრძოლაში დაღუპულებს;
სამშობლოსთვის [illegible]
ზვარაკად შეწირულებს!
საფლავი [illegible]
ხალხის [illegible] გმირებს,
სიმართლის სადარაჯოზე
დახვრეტილ დაჩეხილებს.

10.

ბავშვებს.

მოგესალმებით ბავშვებო,
ჩემო ლაღო ჩიტებო,
მერცხლებო [illegible],
ძვირფასო მარგალიტებო!
დაიზარდენით [illegible],
სულით, [illegible] გულითა,
დალოცვილი დედის ალერსით
და მამის სიყვარულითა!

11

ჩემს ფანდურს.

ფანდურო ჩემო, ფანდურო,
ახლა შენ დაეკონები,
რომ მაღლიდან სიმღერი,
საქვეყნოდ გასავრცელები
[illegible], შენს ხმას [illegible]
გულს გულთან იერთებიან,
ფიცს სიტყვებს ერთგულებისას,
წმინდა დროშის ქვეშ დგებიან,
ხმლებს უშიშრად იშიშვლებენ,
საომრად ემზადებიან,
მტერიც კი, შიშით [illegible]
თავის სოროში ძვრებიან!
დაუკარ, ჩემო ფანდურო,
გული ნუ დაგღონდება;
[illegible]
შენი [illegible]
მაშ, [illegible] ფანდურო,
[illegible] შენის ხმებისა,
მოგიკვდეს [illegible],
სიმღერა [illegible]

[illegible]

იანვარი, 1921 წ.

კარლ ლიბკნეხტი

გერმანიის მუშათა კლასმა დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო ხელმძღვანელი [illegible]
[illegible]

შამ კარლ ლეგინის გარდაცვალება. ის იყო პროფესიონალური მოძრაობის სულის ჩამდგმელი, მისი თეორეტიულათ და პრაქტიკულათ გზის მაჩვენებელი.

ყოველთვის, ყველა დიდ და პატარა კითხვებში ის პირველ რიგზე აყენებდა მუშათა მოძრაობის მთლიანობას. ამ მიზანს არ ივიწყებდა არც ერთ წუთს. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ პარტიული მხრივ ლეგინი მსოფლიო ომამდის და ომის დროსაც იდგა მემარჯვენე ფრთაში. ის მიდიოდა პროფესიონალური კავშირებიდან პარტიისკენ და არა პარტიიდან პროფესიონალური კავშირებისკენ.

პარტიისგან დამოუკიდებლობა მიაჩნდა კ. ლეგინს იმ პრინციპათ, რომელსაც ის არ უღალატებდა არასოდეს. ეს პრინციპი დაუდო ამ დიდმა ხელმძღვანელმა სარჩულათ გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობას და სწორეთ ამით შეუწყო ხელი ს.-დ. პარტიის და ფართო მუშათა კლასის ერთი მეორესთან დაკავშირებას.

გერმანიის ს.-დ. პარტია, როგორც ვიცით, მსოფლიო ომის დაწყებამდის სათავეში ედგა საერთაშორისო სოციალ დემოკრატიას. იქ იჭედება ის თეორეტიული იარაღი, რომლითაც სარგებლობდენ მთელი ქვეყნის პროლეტარები თავის კლასობრივ ბრძოლაში.

ასეთივე საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობასაც. კარლ ლეგინის მეთაურობით ამ მოძრაობამ დაიკავა ხელმძღვანელი ადგილი საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში. იქ, ლეგინის ხელში ერთდებოდა და იკვრებოდა სხვადასხვა კუთხეებისკენ გაბმული ძაფი. ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების პროფესიონალური კავშირები გერმანიაში—კარლ ლეგინში ხედავდენ შემაერთებელ ცენტრს.

თავის მთავარ სახელმძღვანელო პრინციპისთვის ლეგინს არ უღალატნია არც მსოფლიო ომის დროს. ის იცავდა მუშათა კლასის მთლიანობას, და ეს კი მოითხოვდა სწორედ მისი პოლიტიკის გატარებას. ლეგინმა ბოლომდის შეასრულა ამ გზით თავისი ისტორიული საქმე.. გერმანიაში დაიყო და დანაწილდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ არ დაყოფილა და არ დანაწილებულა გერმანიის მუშათა კლასი. ამ კლასმა გადაიტანა იქ ბოლშევიზმი, გადაიტანა რეაქცია, გაუძლო ბოლშევიზმისაგან და რეაქციისაგან გამოწვეულ სამოქალაქო ომს, იხსნა თავისი ქვეყანა ანარქიისაგან. ეს შეუძლებელი გახდებოდა მისთვის, რომ შინაგანი, კლასობრივი მთლიანობა სავსებით შესისხლხორცებული არ ქონებოდა.

ამ დიდ ანდერძს კ. ლეგინისას არ დაივიწყებს არასოდეს საერთაშორისო პროლეტარიატი. ეს იყო და იქნება პირველი მცნება საქართველოს მუშათა კლასისათვისაც.

საქართველოს მთავრობის ნოტა რუსეთის ს. ფ. ს. რ. მთავრობისადმი

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან).

დეკემბრის 30-ს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის მთავრობას:

„მოსკოვი: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს. ასლი საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს მახარაძეს.

დეკემბრის 5 დან დღემდის აზერბეიჯანის ს. ს. რ. საზღვრებიდან საქართველოში არ შემოსულა არც ერთი ცისტერნი ნავთი. ამ ხანად ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე დაჭერილია სპეციალურად ნავთის პროდუქტებისათვის იქ გაგზავნილი საქართველოს 6 სამარშრუტო მატარებელი 240 ცისტერნით და 12 ორთქლმავალით, რომელთაც თან ახლავს 24 საორთქლმავალო და 12 საკონდუქტორო ბრიგადა.

მიუხედავათ ა. ს. ს. რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენელთა პროტესტებისა ამ მატარებლებით და ბრიგადებით რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობები სარგებლობენ რკინის-გზის ლიანდაგის გასწვრივ საკუთარ ნავთის რეზერვუარების ასავსებათ.

ჩვენ ხელთა გვაქვს ოფიციალური დეპეშები 6 დეკემბრის თარიღით № 379, რომელსაც ხელს აწერს სახალხო კომისარი შუშკოვი. როგორც ამ დეპეშიდან აშკარათ სჩანს, აზერბეიჯანის რკინის გზათა სამმართველოს წინადადება მიეცა შეეჩერებინა საქართველოს რკინის გზისათვის გადმოსაცემად დანიშნულ ყველა ვაგონების გზავნა, ხოლო უკვე გზაში მყოფი სათბობი მასალით დატვირთული საქართველოს მატარებლები დაეკავებინა განმანაწილებელ სადგურებზე ახალ განკარგულებამდის.

ამას გარდა, იმავე კომისარის შუშკოვის 9 დეკემბრის № 1039 ოფიციალური დეპეშით ებრძანა სათანადო მართებლობას საქართველოს ორი ნავთით დატვირთული მატარებელი დაუყონებლივ განჯაში დაეცალათ, და ორიც ასეთივე მატარებელი სასწრაფოთ გაეგზავნათ დარუბანდს დასაცლელად. ამავე დროს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მართველობის მიერ შეპყრობილ იქნა სამი საქართველოს რკინის გზის აგენტი.

ამგვარად, 11 დეკემბრის № 3645 ნოტაში სრულუფლებიან წარმომადგენლის განცხადება, თითქოს რუსეთის ს. ფ. ს. რ. მთავრობამ საქართველოში ნავთის გამოგზავნის შეჩერების შესახებ განკარგულება გასცა ვითომდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის უკანასკნელ მოქმედებათა გამო, რომელნიც არ ეთანხმეიან რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს შორის დამყარებულ მეგობრულ ხელშეკრულობათა ურთიერთობას, მხოლოდ დაგვიანებული დადასტურებაა ფაქტიურად ადრევე განხორციელებულ გეგმის, რომლის შესახებ ჩემი მთავრობა სრულიად არ იყო გაფრთხილებული.

სამარშრუტო მატარებლების დაჭერას, საქართველოს რესპუბლიკის ქონებით თვითნებობით სარგებლობას და საქართველოს ბრიგადების შემადგენლობაზე ძალადობის მიყენებას ჩემი მთავრობა სთვლის მისი უფლებების და 14 ნოემბრის სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმებით პირობების აშკარა დარღვევად და საქართველოს მიმართ მტრულ აქტად, რომელიც ძირს უთხრის კეთილმეზობლობის პრინციპს და გაუსწორებელ ზიანს აყენებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ყველა ეს ფაქტი ძირიანად ეწინააღმდეგება რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. წარმომადგენელთა მრავალგზითი რწმუნებას, რომ მათი მთავრობები მიისწრაფვიან საქართველოსთან კეთილმეზობლურ განწყობილების განმტკიცებისაკენ და ეჭვს აღუძრავენ ჩვენს მთავრობას ჩვენს შორის საკომერციო და სატრანზიტო ურთიერთობის შესაძლებლობაში.

ამისთვის, ჩემის მთავრობის სახელით, ვაცხადებ ენერგიულ პროტესტს საქართველოს ბრიგადების და სამარშრუტო მატარებლების მიმართ თვითნებურ მოქმედებათა წინააღმდეგ, რომელიც ჩვენის მხრით არაფრით არ არის გამოწვეული და მოვითხოვ ამ ბრიგადების და მატარებლების დაუყონებლივ საქართველოში დაბრუნებას.

30 დეკემბერი № 11411.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერი **კ. ხახაბაშვილი.**

გადია

ფრაგმენტი.

გადია ჩემი სიზმრის სიალით
ასე არასდროს არ დაისრულა
ის ირონიამ ფრთით უშუალით
წარსულ დღეებში გადაისროლა.
ის, დაყრდობილი ულონო ხელებს
სიყმაწვილისას დაყურებს სურათს
და ჩარჩოებში ძვირფას სახელებს
ითვლის ბავშვივით და უსუსურათ.
ბზა, სახარება, სარკე, საათი...
სარკეში თეთრი თმები თოვდება
და საათიდან სამოცდაათი
წელი, გადია, გიახლოვდება.
ლბილ ბალიშებზე ისვენებს კატა
ნებიერების ბნელი ასული.
ცეცხლმა კახკალით შემოახატა
კედელს მოხუცი წრიდან გასული.
მე კი, მოღრუბლულ დღით მოწყენილი
ავიღებ მანონს, სადაც ზონარად
მჭკნარი ალოე არის შთენილი
უკეთეს დროთა მოსაგონრად.
აჰა, ბინდდება. კვლავ დამესია—
მწუხრვალებათა ფიქრი—ოზობა,
ყოველგვარ შხამზე უშხამესია
შელამებებით ავადმყოფობა.
თითები ელის საყვარელ თითებს
როს ფარდებიდან მოდის ზმანება
და ყოველ სახლში ლამპებს ითევს
პიანინოთა ახმოვანება.
რამდენი ქალი, მღერალი ქალი
შეიმოსება ბინდით, დათვალე!
აშრიალდება მრავალი ხალი
და გატაცებათ ცა მოშავთვალე.
რამდენს უეცარს ველოდი ამბორს
რამდენს ველოდი ფრთეებს აღსავალს
მხოლოდ ახალ წლის ბინდებში ამბობს
მუსიკა თავის თავგადასავალს.
წელს გადაიწევს ხელი მინაში
თვალს მიულულავს კოცნის მკვეთრება
და როგორც ლანდი ლოენგრინეში
ლანდს სიჩუმეზე შევედრება...
ამნაირ ამბებს—ძალიან მწვალი
თვალებით უსმენს ჩემი გადია,
კეთილი, ძველი ქართველი ქალი
ვისიც გზა სულის სიდიადეა,
არა აქ უნდა ნახოთ, არამედ
იქ, სადაც ლოცვა და ზარებია
და შორეული ეპოქის ლამედ
კანკელი ფერებს შეფარებია.

სვეტიცხოველში ეშვება მაშინ
გალეცებული ლანდი—აგატი
და უძველეს მინაში ნაშენ
სხივების ცვივა ბროლთა ნაკადი.
ფანტასტიური—ოცნებიან დღეს
ქერუბიმების მოესმის კვდომა
მას შეუყვარდა ყოველივე ეს
ახალი წელი, ბზობა, აღდგომა.
გადია! ლაჟვარდ სირმა რეული
გუმბათების ქვეშ ხატებს ევლები
შორეული და სიზმარეული
გეჩვენებიან საუფლეები.
კვლავ გუმბათიდან უნაზეს ლილას
განგიალებენ სნეულ ფერებით—
შავ მარმარილოს, თეთრ მარმარილოს
და მარმარილოს ვარდის ჩქერებით.
გწყურია, ოდეს სანთლები ელავს
წაიღო სულის აურზაური—
ბაგით შეეხო მადონას ხელებს
და იგრძნო სუნთქვა არაქაური.
მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული
მაქვს დაწეწილი მწარე ქარებით
ვინც გატაცება არ ვიცი სრული
არც სიხარულით, არც მწუხარებით.
მე, ვისაც მტანჯველ აზრად გაუარს
დაკმაყოფილდეს ისევ ტფილისით.
ვინც ღამით დასწვავს შოპენგაუერს
რომ უფრო მძაფრად იგინოს დღისით.
გადია! მე ხომ ღამის ლანდები
მიგვიანებენ საყვარელ ნდომას,
მე ყველაფერში ვეჭვიანდები
და ტაძრებშიაც ვხედავ შეცდომას,
მე დემონები დაფარულ შამით,
მომაგონებენ ქოოლვით მარადით
რომ უიმედოთ მივქროდი ღამით
გატეხილ შუბით და მუზარადით.
აჩრდილმა მაღალ ლურსმებს აკიდა
ჩონჩხები, ძვლები მაღალ რიგებით
დაფარულია გრძელი მაგიდა.
შავი წიგნით და ალიმბიკებით.
ობობებიან კუთხეში დივანს—
ვხედავ: ვით გოეტე ზის იქ სატანა
გადაეზმანა კედლებს, აივანს
და ღამეშ სულში შემოატანა.
გაქრა, გადია, ვარდები რგული.
იმ ჩვენ ყვავილებს მოედო ცელი
გადია.. ქარმა წაიღო გული
და ათას ცხრაას მეოცე წელი.

გალაკტიონ ტაბიძე.

ტფილისი.

ახალი აღთქმა

არის ოცნება უბრწყინვალესი
და სათნო, როგორც ქრისტეს თვალები—
წამების ცეცხლი უმწვერვალესი
და სიმახინჯის შავი ბრჭყალები.
ორ უფსკრულს შორის აციმციმდება
სული ანთებულ ცეცხლის კანდელად,
იმედის წყარო გადმოწვიმდება
სიმღერა ცისა, შვებად და მხსნელად.
და რწმენის სხივით გაშუქებული
გადმოვა ქვეყნად ღმერთი მაღალი,
და უნაზესი ლოცვით ქმნილი
დაიწერება აღთქმა ახალი.
მასშია რკინის გამოძახილი
და ფოლადის ხმა აჟღერებული,
გულ ამაყ გმირთა ბრძოლის მახვილი
და ქუჩა მედგრად ამღერებული.
მილიონ გულთა ცეცხლით ანთება
და დროშა სისხლით წითლად ნაღები,
და ბრძოლის ველზე რომ იფანტება
წმინდა მსხვერპლებათ ამხანაგები.
მშვენება უცხო და შორეული
და სანეტარო სულის ღვთაება,
იდუმალ ქსელში გამოხვეული
მარადისობა და უკვდავება.
ის მოდის როგორც ელვა ნაფეთქი
სულის შემხუთველ ღამის უბეში,
და მეხი ციდან ჩამონახეთქი,
ცოდვის დამწველი, ჩაგრულთა ნუგეში.
ის მოვა მაღლით განათებული
და აღსრულდება აღთქმა ახალი,
და რწმენის სხივით გაშუქებული
გადმოვა ქვეყნად ღმერთი მაღალი!

იოსებ მუშა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

31 დეკემბერი.

ფრანგული ცნობები

საფრანგეთის სოციალისტთა შორის.

სოციალისტურ პარტიაში განხეთქილება მომხდარი ფაქტია. კაშენის წინადადებას, შეერთებოდენ მესამე ინტერნაციონალს, ხმა მისცა 3000 წევრმა ე. ი. ყრილობის $^{2}/_{3}$ მა. პოლფორმა განაცხადა, „ნოვატორებმა" უნდა დასტოვონ პარტიაო. თანახმად პაოლის წინადადებისა ხუთშაბათს შედგება მიტინგი იმ წევრებისა, რომლებიც კომუნისტურ ინტერნაციონალს არ მიემხრენ. გაზეთები გაკვირებას გამოსთქვამენ,—როგორ მოხდა, რომ გერმანელი რევოლუციონერი კლარა ცეტკინა მოხვდა ფრანგ სოციალისტების ყრილობაზე ტურშიო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მიღებული იყო ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომა, მაგრამ აგიტატორებს შეეძლოთ გადმოელახათ საზღვარი ავტომობილით. თანახმად „ჟურნალის" ცნობისა 8 დღის წინეთ გავრში მოვიდა გერმანიის გემი და ტურის მიდამოებში იმალებოდა. იუწყებიან, რომ ამის გამო სტილდი შეკითხვას შეიტანს დეპუტატთა პალატაში.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

რომლებიც სამხედრო სამსახურს გაურბიან

მოსკოვი. 31 დეკ. ის პირები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გაურბიან, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინაშე დანაშაულის მოსახდენათ ვალდებულნი არიან 1920 წლის 31 დეკემბრამდე გამოცხადდენ შრომის ფრონტზე. ამიტომ საჭირო ხდება საგანგებო დეკრეტის გამოცემა, რომლის თანახმად ზემო-აღნიშნული კატეგორიის პირები უნდა გამოცხადდენ პირველ რიგში; თანახმად შრომის ბეგრისა და ამ რიგად უნდა შეიქნას შრომის შეღავათიანი პირობები იმ მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც დათხოვნილნი არიან არმიიდან და აგრეთვე უზრუნველყონ ის ოჯახები, საიდანაც გაწვეულნი არიან წითელ არმიელები. ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ შრომის ფრონტზე, დასჯილნი იქნებიან კანონის მთელი სისტიკით.

დამფ. კრების სოც.-დემ. ფრაქციაში

ამხ. კარლ და ლუიზა კაუცკი ფრაქციის სხდომაზე.

დამფუძნებელი კრების სოც.-დემ. ფრაქციას პარასკევს, 30 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სხდომის დროს ეწვია ამხ. კ. კაუცკი მეუღლით.

დეპუტატები ფეხზე ადგომით და დაუსრულებელი ტაშით შეეგებნენ მათ. ფრაქციის სახელით მიესალმა მათ გერმანულ ენაზე ფრაქციის თავმჯდომარე ამხ. ა. ჩხენკელი.

ამხ. აკაკი ჩხენკელის სიტყვა: „ს.-დ. ფრაქციის სახელით მოგესალმებით თქვენ, ორივეს, ძვირფასო ამხანაგებო! ბედნიერნი და გულწრფელად მოხარულნი ვართ, რომ ჩვენ შორის არის ჩვენი ძველი მასწავლებელი და მარქსის გენიალური შრომის გამგრძობი. თქვენ გრძნობთ, რომ ჩვენთან სიცივეა, მაგრამ სარწმუნებთ, რომ თქვენი ხილვა ჩვენს გულს ათბობს და ავსებს სიხარულით.

ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ის დიდი მოვალეობა, რომელიც დაგვაკისრა ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ხალხმა, მაგრამ თქვენი უთვალავი ნაწერების შემწეობით ამ მოვალეობის ასრულება საგრძნობლად გაადვილებულია.

მართალია, ჩვენს დამფ. კრებას, რომელშიაც ჩვენი ფრაქცია არის მმართველი ფრაქცია, ჯერ-ჯერობით არ მიუცია ხალხისთვის კონსტიტუცია, მაგრამ თქვენ კარგად იცით, ძვირფასო ამხანაგო, რომ ჩვენა ხალხს თავისი სამი წლის დამოუკიდებელ არსებობის განმავლობაში არ ჰქონია დრო იარაღი განზე დაედო და მშვიდობიანად შესდგომოდა მუშაობას. აი ეხლაც, როცა ჩვენი კონსტიტუციის პროექტს უკვე ვიხილავთ პლენუმში, დაზღვეულნი არა ვართ, რომ საქმეს ჩქარა დავასრულებთ.

ჩვენი ქვეყანა არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ — პოლიტიკურადაც დევს ჯვარედინ გზაზე, სადაც შეიძლება საერთაშორისო დავა ევროპის დემოკრატიზმსა და აზიის ანარქიზმს შორის უკანასკნელად გადაჰქრას. ამ ფრიად სერიოზულ დროს, რასაკვირველია, ქართველი შეგნებული დემოკრატია პირველად შეასრულებს როგორც თავის ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ მოვალეობას.

ჩვენ იმედი გვაქვს ამ ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობაში და მძიმე ბრძოლაში საერთაშორისო დემოკრატია ჩვენს მხარეზე იქნება,—ამის მაჩვენებელ ნიშნად ჩვენ ვსახავთ თქვენი ამ სიშორიდან ჩამოსვლას და აქ ყოფნას.

ჩვენი ფრაქცია თქვენს სხდომაზე დასწრებას აღნიშნავს თავის სამუშაო ბიუროში თქვენი სურათის დაკიდებით, რომელიც იქნება სიმბოლო ყველა ქვეყნის პროლეტართა სოლიდარობისა და ერთსულოვნებისა.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს და მის ბელადს კ. კაუცკის!"

ამხ. კარლ კაუცკის პასუხი.

„ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალე მადლობას ვუძღვნი ფრაქციას და მის თავმჯდომარეს იმ გულწრფელი შეხვედრისთვის, რომელიც მე დღეს აქ განვიცადე. ჩემი თქვენთან ყოფნის დროს იმდენი ქებადიდება მოვისმინე, რომ ვშიშობ მეტად არ გავკადნიერდე და უკეთესია მალე წავიდე. მრწამს, ყველაფერი ეს გულწრფელია. მართალია, აქაურ მდგომარეობას ყველას კარგად ვერ გავეცანი, მაგრამ ისიც, რასაც მოვასწარ გავეცნობოდი, მარწმუნებს, რომ დიდი მუშაობაა გაწეული როგორც პარტიის, აგრეთვე ფრაქციის მიერ შრომა დიდი გაქვთ გაწეული, მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი დაგრჩათ გასაკეთებელი. ეს გასაკეთებელი დიდათ რთული და ძნელი რამ არის. სხვა ქვეყნებთან შედარებით თქვენ იმყოფებით განსაკუთრებულ მდგომარეობაში: აქ პოლიტიკურად მშრომელი მასსა გაბატონებულია, მაგრამ ეკონომიურად კი იძულებული ხართ კაპიტალისტურ პირობებში იმუშაოთ. მე მრწამს თქვენ მოახერხებთ ამ უდიდეს დაბრკოლებათა ძლევას და პოლიტიკურ ძლევამოსილებას ეკონომიურ გარდაქმნით დაათავებთ.

პრობლემა, რომელიც თქვენს წინაშე სდგას, არის საერთაშორისო ხასიათისა. თქვენ იცით კარგათ, რომ მსოფლიოში დაპირდაპირებულია ორი პრინციპი: დიქტატურა, რომელიც ტერორით ბოლოვდება და დემოკრატია. ამ ბრძოლაში თქვენ გაიმარჯვებთ, იდეია უპირატესობა დიქტატურისა, რომელიც მძვინვარებს რუსეთში, უთუოდ დამარცხებით დაბოლოვდება—ბოლშევიზმს, რომელიც მხოლოდ ანგრევს და არ აშენებს, მომავალი არა აქვს!

რუსის ხალხი ბოლოს და ბოლოს შეიგნებს დემოკრატიული წყობილების უპირატესობას და დემოკრატიული საქართველო მომავალში იქნება რუსეთისთვის გზის მაჩვენებელი.

რამდენადაც ინტერნაციონალი დაინტერესებულია ამ ორ პრინციპთა შებრძოლების შედეგით, იმდენად ის უფრო და უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობა თქვენს ქვეყანას. მე დარწმუნებული ვარ საერთაშორისო დემოკრატია და პროლეტარიატი თქვენ თანაგრძნობას და დახმარებას აღმოგიჩენთ. თქვენ გაქვთ უფლება კიდეც მოსთხოვოთ მას ეს.

მე მრწამს, ამხანაგებო, რომ თქვენ დისძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას და დემოკრატიული გზით მიაღწევთ სოციალისტური იდეების განხორციელებას!

(ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ამის შემდეგ ამხ. კ. კაუცკის მიმართა სიტყვით ამხ. ვლასა მგელაძემ:

„ძვირფასო ამხანაგო! მე მაგონდება ის დრო, როდესაც რვა წლის წინად ვიყავით თქვენს ოჯახში, თქვენს ცოლშვილში ბერლინში და მოგიყვებოდით ხოლმე ჩვენი მუშების და მათი ხელმძღვანელების აქაურ ბრძოლას. მაშინ თქვენ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოგივიდოდათ, რომ შემთხვევა მოგეცემოდათ აქ ჩამოსვლისა და იმის საკუთარი თვალით ხილვისა, რასაც ხედავთ. ჩვენ მეტად ვწუხვართ, რომ ასე მალე აპირებთ აქედან გამგზავრებას, მაგრამ ვიცით, რომ უნდა შევურიგდეთ ამას, ვინაიდან თქვენ სხვა ბევრი მოვალეობაც გაწევთ სამშობლოში.

მთელი ევროპის ამ საშინელ ქარტეხილის დროს, როცა ინტერნაციონალი დაირღვა და დაიშალა, თქვენ განაგრძობდით თქვენი გამჭრიახი და მადლიანი კალმით ბრძოლას ინტერნაციონალის აღსადგენად და მაღლა გეჭირათ მისი დროშა. ჩვენ, მუშები, აღფრთოვანებულნი ვართ, რომ ვხედავთ ჩვენს ჭაღარა მასწავლებელს აქაურ ჭაღარა ბელადთა შორის.

თქვენი წასვლა მოგვაგონებს მზის ჩასვენებას, მაგრამ ვიცით, რომ მზე ისევ ამოვა და შორიდანაც მოაწევს ჩვენამდის მისი მადლიანი სხივები.

გისურვებთ კეთილ მგზავრობას და გთხოვთ საქართველოს მუშების სახელით გადასცეთ მხურვალე სალამი ევროპის პროლეტარიატს!

ამხ. კ. კაუცკი ამაზე უპასუხებს: „სიამოვნებით შევასრულებ თქვენს დავალებას".

ამის შემდეგ ფრაქცია განაგრძობს სხდომას დღის-რიგის განხილვას. ამხ. კ. კაუცკი და მისი მეუღლე ყურადღებით ისმენენ მსჯელობას. ბოლოს მათ გადაუხადეს მადლობა ფრაქციას, უსურვეს ნაყოფიერი მუშაობა, გამოსთქვეს იმედი, რომ ახლო მომავალში კიდევ ინახულებენ საქართველოს, რომელიც დახვდება მათ სრულიად გამარჯვებული და ბედნიერი.

„ნახვამდის"—დასძინა ქართულ ენაზე ამხ. კ. კაუცკი.

ფრაქცია ტაშით და ოვაციებით აცილებს ძვირფას სტუმარს.

რას სწერენ დაშნაკელები?

„აშხატავორი" (№ 286) ეხება, თუ რა მნიშვნელობა ექნება იმ თათბირს, რომელიც უნდა შესდგეს მოსკოვში თურქების და რუს. ბოლშევიკებს შორის საბჭოთა აზერბეიჯანის და საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით და სწერს:

„განზრახული თათბირის (კონფერენციის) მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ ოთხ სახელმწიფოთა თათბირი მოსკოვში საჭირო შედეგს მიიტანს ამიერკავკასიის განთავისუფლების საქმეში.

„რუსეთის საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მალე დაიწყოს ამ თათბირმა მუშაობა და ამისთვის უბრძანებია, რომ დაუბრკოლებლად და მალე გამოიგზავნონ ოსმალეთის წარმომადგენლნი ბაქოში. იმავე დროს საბჭოთა მთავრობას მოუწვევია აზერბეჯანის და სომხეთის მთავრობები მონაწილეობის მისაღებად.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის და საზღვრების საკითხი ერთნაირათ გამოსადეგი საშუალება არ იქნება არც რუსეთისთვის, არც ოსმალეთისთვის და აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ მოსკოვის საერთო თათბირს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამიერკავკასიის განთავისუფლების საქმეში. უკეთუ სომეხი მშრომელი ხალხის ელემენტარული და განუყრელი უფლებები პატივცემული იქნებიან ორივე მხრის მიერ ამ პირობებში საერთაშორისო ომებს ბოლო მოეღება, შეიქნება ერთი საერთო ფრონტი და მაშინ ამიერკავკასიის განთავისუფლება, მისი სრული გამარჯვება მოძალადეების კლანჭებისაგან უეჭველი გახდება".

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

დამშეული რუსეთი და ციმბირის პური. 27 ნოემბრის ნომერში (267) „პრავდა" სწერს: „მშრომელთა იმედი ამ ხანად მიმართულია განაპირა კუთხეებისაკენ, საიდანაც შიდა რუსეთმა მოუსავლიან წელში უნდა მიიღოს სასურსათო დახმარება. განსაკუთრებული როლი ამ მხრით დაეკისრება ციმბირს. ციმბირში უნდა შეგროვდეს 110 მილიონ ფუთამდე პურისა და ფურაჟის პროდუქტები, რომელთაგან 70 პროცენტი გამოტანილი იქნება ევროპის რუსეთში".

„წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

ბოლშევიკურ ჯარების დემობილიზაცია. როგორც ფრონტიდან დაბრუნებული პირები იტყობინებიან,—ბოლშევიკურ ფრონტზე ჯარების დემობილიზაცია ხდება. უკანასკნელ ხანებში ყველა ბოლშევიკური ჯარები, მცირედის გამოკლებით, სტოვებენ ფრონტსა და ბაქოსაკენ მიეშურებიან. ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ ბოლშევიკებმა მოსკოვიდან მიიღეს. ბრძანება ფრონტის დატოვების შესახებ; სხვების სიტყვით, ჯარებმა გაიგეს, რომ მთავრობამ ნება დართო ბაქოში ბურჟუების ძარცვა-გლეჯისა და რომ თვითონაც პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა ბურჟუების ძარცვა-გლეჯაში,—ისინიც მიეშურებიან ბაქოსაკენ. ნამდვილი მიზეზები ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, მაგრამ ის ფაქტი მტკიცდება, რომ ჯარები სტოვებენ საქართველოსა და სომხეთის საზღვრებს. ზაქათალის ოლქიდან მოსული ცნობების თანახმად ამ ოლქშიაც დანიშნულია „ექსპროპრიაციის" კვირა, რის გამოც მცხოვრებლები მეტათ შეძრწუნებულნი არიან. („გრ.")

ახალი ამბები

საქ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით კვირას, 16 იანვარს, შუადღის 12 საათზე ქ. ტფილისში მოწვეულია პარტიული კონფერენცია. წარმომადგენლები იქნებიან ყველა სამაზრო და შემდეგი ქალაქების კომიტეტები: ტფილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათომის. ის ორგანიზაციები, რომელთა პარტიის წევრთა რიცხვი არის არა ნაკლებ სამი ათასისა, გზავნიან ორ დელეგატს და შემდეგ სრულ 1500 წევრზე დამატებით თითო დელეგატს. სამაზრო ორგანიზაციები, რომელთაც არა ჰყავთ 1500 წევრი, თითო დელეგატს მაინც გზავნიან.

◆ **საახალწლო მილოცვას** მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს უცხო სახელმწიფოთა მისიებისაგან დღეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში ნაშუადღევის 1—3 საათამდე.

◆ **ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.** კვირას, 2 იანვარს, დილის 11 ს. დანიშნულია შეერთებული სხდომა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისა და პრეზიდიუმისა საყურადღებო საკითხთა განსახილველად.

— საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარემ გენ. კოლინემა მხურვალე წერილით აცნობა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ს. მ. ჟორჟოლიანს თვისი თანაგრძნობა ქართველ მხედრობისადმი. წერილთან ერთად აახლა მთავარ კომიტეტს სხვადასხვა წამლები და თბილი ტანისამოსი ფრონტის საჭიროებისათვის.

◆ **პანაშვიდი და პარადი.** გუშინ სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სომხეთთან ომში დახოცილ მხედართა ხსოვნის აღსანიშნავათ. დაესწრენ მთავრობის და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წევრნი და ფრაქციათა წარმომადგენლნი, ჯარის ნაწილები და დიდი ძალი საზოგადოება. პანაშვიდის შემდეგ ტაძრის ეზოში გაიმართა ტფილისის გარნიზონის ნაწილების პარადი, რომელიც მიიღო სამხედრო მინისტრმა გ. ლორთქიფანიძემ, სამხ. მინისტრის თანაშემწე გიდევანიშვილის და გენერ შტაბის უფროსის ა. ზაქარიაძის თანდასწრებით. ჯარის ნაწილის მწყობრებმა მოხდენილად გაიარეს და მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებლებზე.

◆ **ჟურნალი „სახალხო გვარდია"** გამოვიდა, რომელშიაც მოთავსებულია ვალიკო ჯუღელის წერილი, სურათები და სხ. ჟურნალი სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა.

◆ **შრომის ბეგარის** სამობილიზაციო მთავარი და ყველა რაიონული კომისიების შეერთებული კრება შედგება კვირას, 2 იანვარს, დილის 9 ს. მთავარი შტაბის ბინაზე.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** 2 იანვარს, დღის სრულ პირველ საათის ნახევარზე, საბურთალოს მუშათა კლუბში იწვევს საბურთალო-ახალშენის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებას. პოლიტიკურ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე რამიშვილი.

◆ **განათლების საზოგადოების** სამხატვრო სახელოსნო სკოლა, რომელიც იმყოფება ხარფუხში, სურბ-სარქისის ქუჩაზე № 48 კვირას, 2 იანვარს ჰმართავს თავის ნაწარმოებების გაყიდვას, საღამოთი კი ხარფუხის მეხუთე რაიონის მუშათა კლუბში თავისავე ძალით ჰმართავს წარმოდგენას სკოლის სასარგებლოთ.

◆ **სამგლოვიარო განცხადება.** შუა და ზემო ამალლების სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს საზოგადოებისა და პარტიისათვის საყვარელი წევრის ბესარიონ ლაზარეს ძე ჯიბლაძის უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდა ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, ახალ სასაფლაოზე.

◆ **ეშმაკის მათრახის** № 54 (საახალწლო) გამოვიდა.

კრებები. 3 იანვარს, საღ. 5 ს. ავლაბრის რაიონულ სახალხო შტაბის ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის შეიარაღებულ წევრთა კრება.

— 2 იანვარს დილის 10 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— კვირას, 2 იანვარს, 1 ს. ვაჟთა მე-6 გიმნაზიის შენობაში შესდგება მე-4 „შევარდენი"-ს საზოგადოების დამფუძნებელი კრება. გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და წევრებს სთხოვენ დაესწრონ კრებას.

◆ კვირას 2 იან. ს. 4 ს. ჩუღურეთში მოხდება ამ უბნის მცხოვრებთა საზოგადო კრება. სადაც მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. ქუჩა 19 თებერვლის სახლი № 3. კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ.

◆ **საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის** გამგეობა წინადადებას აძლევს კასის მონაწილეთ ჩაეწერონ მშველებათ ინსტრუქტორთა კურსებზე, რომე-

ლიც გაიხსნება პროფ. კავშ. აღმასრულებელ კომიტეტთან 11 იანვარს.

ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა ამხ. მ. ბერიანიძის ხელით შესწირეს ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს 40,000 მ. და 40,000 ცალი პაპიროსი.

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობისა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გაერთიანებულმა კრებამ, რომელიც 29 დეკემბერს შესდგა, დაადგინა გადასცეს ფრონტის სასარგებლოთ ერთი დღის ხელფასი. შეკრებილ თანხით შეძენილი იქნება სხვადასხვა თუთუნის ნაწარმოები და გაიგზავნება ფრონტზე საგანგებო კომისიის ხელით, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: ა. ხელაძე, ენფიაჯიანცი, თევზაძე და ბერიანიძე.

ფოთში გერმანიის კონსულად ნამყოფი მ. ანდერსი დაინიშნა გერმანიის კონსულად თფილისში. ანდერსი ბერლინიდან 18 დეკემბერს გამოვიდა.

ჟ. მარტენის ლექცია საქართველოს შესახებ. ნოემბრის 26 ჟენევის გეოგრაფიულ საზოგადოებაში ჟ. მარტენმა საქართველოს შესახებ მოხსენება გააკეთა. მოხსენების დროს იგი ბუნდოვან სურათებს აჩვენებდა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც ყველა ორატორი ღრმა სიმპატიას გამოთქვამდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მიმართ და გამოსთქვამდნენ სურვილს საქართველოს ერთა ლიგაში მიღებისა. ჟ. მარტენს მრავალი წინადადება მოსდის, რომ გაიმეოროს თავისი მოხსენება საქართველოს შესახებ. (სდს).

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში

(სია შემოწირულ ნივთებისა და შემომწირველთა). 1) ახალ სოფ. სახ. შეგროვილი ნიკო ხახიშვილისაგან წინდა 89 წყ., ხელთათმანი 4 წყ. 2) ოლღა ანდ. ასულის სემიონოვისაგან ძაფი 6 კოჭი ამისახვევი ძაფი 15 შული, პერანგის ღილი 1 გროსი, ხელის საპონი 12 ცალი. 3) ნიკოლოზ ივანეს ძე ზამკოვსკისაგან წინდები 5 წყ. ჩულქები 4 წყ. პერანგის ამხანაგი 3 ცალი. 4) აფთიაქი გრინ. ძმათა ბროიდო და ამხანაგობა ხელის საპონი 24, ტერმომეტრი 12, ლანოლინი-უწყლო 2 კილო, ვილკოსკის მალამო 1 კილო, ქაფურის ზეთი 100 ცალი, იოდის სითხე 400 გრამი, ზეითუნის ზეთი 176 გრ. ვალერიანის წვეთ. 900 გრ. 5) ნინო სვიმ. ასული ანდრონიკაშვილისაგან წინდა 2 წყ. 6) მექარხნეთა საზოგადოებისაგან პაპიროსი 500.000 ცალი, თუთუნი 300 7) წერა-კით. გამავრ. საზოგადოებისაგან ფულით 50.000 მან. წიგნები 25.000 მან. 8) ამიერ-კავკასიის ბანკისაგან ფულით 1 000 000 მან. 9) ძეგველოვისაგან 100.000 მან. 10) ბათუმის ქალთა საზოგადოებისაგან 100.000 მან. 11) ეროვნული კავშირის კომიტეტისაგან თუთუნი და 10 ფუთი საპონი. 12) სილიბისტრო თავართქილაძისაგან 152 წიგნი ღირებ. 8.475 მან. 13) საყმაწ. ჟურ. „ნაკადულის" რედაქციის ჟურნალი ნაკად. მცირე წლოვანთათვის 1906 წ.—1910 წლ. მოზრდილთათვის 1911 წლ.—1920 წლამ. ბატი წიგნაკი ცისკრის გამოცემა „ორი მხატვარი" 2 ცალი სიმართლის მეცნიერება 1 ცალი. 14) ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობამ თავიანთი გამოცემა 19 ცალი. 15) ჩრდილოეთის დამზღვევი საზოგადოებისაგან 5.000 მან. 16) თფილისის მილიციის უფროსისაგან 8.000 მან. 17) თბილისის სავაჭრო ბანკისაგან 55.425 მან. 18) ნესტორ გიორგის ძე გელოვანისაგან 5.000 მან. 19) ქალაქთა კავშირისაგან ფულით 20.000 მან. 20) ამხ. „კავკასიისაგან" წევრის ვლადიმერ მიხეილის ძის საფლავზე გვირგვინის ნაცვლად ფულით 5.000 მან.

(შემდეგი იქნება).

საქ. რკინის გზის დელეგატთა მესამე ყრილობა

30 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ხომერიკი.

დადგენილ იქნა: სანამ კამათი გაიხსნებოდეს წარდგენილ მოხსენებებზე, ყრილობამ მოისმინა მოხსენებები რაიონებიდან.

მოხსენებები რაიონებიდან.

ხარგელის რაიონი (ბათუმი). სექციების და აგრეთვე რაიონულ გამგეობის წევრებისათვის კრებების დროს სამსახურიდან გაუნთავისუფლებამ შექმნა ის მდგომარეობა, რომ პროფ. მუშაობა ძალაუნებურად ხელში ჩაუვარდა გამგეობის პრეზიდიუმს. მრავალი საჭირბოროტო კითხვები, რომლებსაც სწყვეტდა ეს პრეზიდიუმი, რამდენადაც ის მიზანშეწონილი არ ყოფილიყო, ავტორიტეტს მოკლებული იყო ფართო მასაში. სექციებმა, რომლებიც წარმოადგენდენ კავშირის გამგეობის უმთავრეს ბოძებს, პირველ ხანებში რამოდენიმეჯერ მოახდინეს კრებები და შემდეგ კი კრებები არ მომხდარა ზემოთ აღნიშნულ გარემოების გამო და ამ რიგათ სრულიად ჩამოშორდენ გამგეობას. პროფ. კავშირის მუშაობის ნაყოფიერებისათვის აუცილებელი საჭიროა, რომ სექციისა და გამგეობის წევრები კრებების დღეს განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან.

კულტურული მუშაობა ვერ არის სასურველ დონეზე. თუმცა აქ არსებობს სამკითხველო, რომელსაც მოსდის ჟურნალ-გაზეთები და აქვს აგრეთვე მრავალი წიგნები, მაგრამ მუშა-მოსამსახურენი ამ წიგნებით ვერ სარგებლობენ როგორც რიგია. ამ რაიონში არსებობს სასწავლებელი, რომელშიაც 60 მდე შეგირდი ირიცხება, მაგრამ უბინაობის გამო სწავლა ვერ სწარმოებს და შესაძლებელია სასწავლებელი მალე დაიხუროს. საექიმო ნაწილის პერსონალი კარგია, მაგრამ არ არის მედიკამენტები და ამით ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან მუშა-მოსამსახურენი, ვინაიდან ისინი იძულებული არიან კერძო აფთიაქებში იყიდონ წამლები.

ძლიერ მწვავეთ სდგას საკითხი ბინის შესახებ. მუშა-მოსამსახურეთ სრულებით არა აქვთ ბინა და საქონლის ვაგონებში უხდებათ ცხოვრება, რის გამო ისინი ცოლშვილით ავათ ხდებიან. სასურსათო მაღაზიამ ვერ გაამართლა მოლოდინი. ის ცომი პურით კვებავს მუშა-მოსამსახურეთ. საქონლის ფასები ბევრ შემთხვევაში არ განსხვავდება ბაზრის ფასიდან. ბოროტ-მოქმედებას ქონდა ადგილი, მაგრამ ეს საქმე უყურადღებოთ იქნა დატოვებული იმიტომ, რომ სასურსათო საქმე დამოუკიდებელია, საქონლის განაწილება ხდებოდა არა თანასწორათ.

ფართო მასა უარყოფით უყურებს სასურსათო მაღაზიის პერსონალს, ვინაიდან მეტი საქონელი გააქონდათ თავის საჭიროებისათვის, ვინემ მათ ერგებოდათ. საჭიროა, რომ სასურსათო მაღაზიის მუშაობა საქონლის განაწილების მხრივ იქნეს პროფ. კავშირის გამგეობის სასტიკ კონტროლის ქვეშ, რათა ბოლო მოეღოს ყოველგვარ ბოროტ მოქმედებას.

მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური მდგომარეობა აუტანელია. მათ არავითარი საშვალება არა აქვთ შეიძინონ პირველ საჭიროების საგნები. ჯამაგირით ისინი ვერ ყიდულობენ ამას და იძულებული არიან სამსახური მიატოვონ.

(შემდეგი იქნება).

ს.-დ. ფრაქციის დადგენილება.

საქართველოს სახაზინო რკინის გზების მუშა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის დელეგატთა მესამე ყრილობის ს.-დ. ფრაქციამ 29 დეკემბრის სხდომაზე მოისმინა რა მოხსენება სამტრედიის ს. დ. პარტიის კომიტეტის წარმომადგენლისა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სამტრედიის პროფ. კავშირის ერთ საარჩევნო რაიონში ჩვენი პარტიის სახელით ორი საკანდიდატო სიის გამოშვება, დაადგინა: რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის დელეგატთა მესამე ყრილობის ს.-დ. ფრაქცია სასტიკად გმობს იმ დეზორგანიზატორულ მოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონია ჩვენი ზოგიერთ პარტიული ამხანაგების მხრივ სამტრედიის რაიონში—დელეგატთა ყრილობის არჩევნების დროს, ფრაქცია ჰფიქრობს, რომ ამნაირი მოვლენა ძირს უთხრის ს.-დ. პარტიის მტკიცე ორგანიზაციას და ასუსტებს პარტიულ დისციპლინას. ყოველივე ამის გამო ფრაქცია სთხოვს ს.-დ. პ. ცენტრალურ კომიტეტს გამოიძიოს საქმის ვითარება და დამნაშავე პირები დაუყონებლივ გააძევოს პარტიიდან.

ფრონტისთვის

მოქალაქე რედაქტორო!

გარდაცვალებულ კოსტა გვანცელაძის ცხედრის გვირგვინით შემკობის ნაცვლად ფრონტის ფონდისთვის გაიღეს: 2000 მანეთი თითეულმა „ავქსენტი ჯანგველაძემ, ნესტორ ლომიძემ, 3) ვანო მესხმა. 1000 მანეთი თითოეულმა—4) სილოვან ბაჩუნაშვილმა, 5) ერმილე ხურციკიძემ, 6) ტრიფონ წოწორიამ, 7) ილიკო ცხვარაძემ, 8) სანდრო ფარცხალაძემ, 9) ბიქტორ არეშიძემ, 10) პორფილე შალამბერიძემ, 11) კოტე ლალანიძემ, 12) გედევან ჩუბინიძემ, 13) ვარლამ გოგიძემ, 14) ერასტი ქარბაძემ, 15) ვანო წერეთელმა, 500 მ. თითეულმა: 16) რუბენ შამშიაშვილმა, 17) გიორგი პაპუნაშვილმა, 18) ვასო სილაგაძემ, 19) ამროსი ბენდელიანმა 20) მექია კახაძემ, 21) ნესტორ არეშიძემ, 22) გიორგი არეშიძემ, 23) თომა ჯიქიამ, 24) იაკობ ხამაშურიძემ, 25) არტემ ბობუაშვილმა. სულ 23,000 მ. რასაც ამასთან გიახლებთ. *)

მონდობილობით **ავქსენტი ჯანგველაძე.**

ს.-დ. პარტიაში

დიდი ჯიხაიში. 14 დეკემბერს შესდგა დიდი ჯიხაიშის სოც. დემ. კოლექტივის კრება, რომელზედაც გაირჩა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება „იაჩეიკებიდან", 2) მოხსენება სამაზრო კომიტეტიდან, 3) იაჩეიკური" სისტემის მაგივრად საერთო პარტიის წევრებთა სისტემატიურ მეცადინეობის შემოღება. 4) კონფერენციის მოწვევა და 5) ზოგიერთ ამხანაგებთა და კოლექტივის შორის უთანხმოების განხილვა. პირველი საკითხის შესახებ კრებამ მოისმინა „იაჩეიკების" წარმომადგენლების მოხსენება; გამოირკვა, რომ თითქმის ყველა „იაჩეიკებში" პარტიული მუშაობა შენელებულია, ვინაიდან წელს ხალხს თავზე დაატყდა არაჩვეულებრივი მუშაობა რთველზე. გამოირკვა, რომ ბევრ ადგილებში დღესაც გრძელდება მუშაობა. კოლექტივმა მიიღო მხედველობაში ეს გარემოება და დაადგინა შენელებული მუშაობის აღსადგენად მიღებულ იქნას ზომები „იაჩეიკების" წარმომადგენლებისაგან. სამაზრო კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. ძიძიგური. მან აღნიშნა საერთო პოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით სომხეთის „გაწითლების" შემდეგ და მასთან დაკავშირებული რესპუბლიკის წინაშე ბოლშევიკების მუშაობის განახლება. კრებამ მოხსენების შემდეგ გამოიტანა დადგენილება, რომ მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ბოლშევიკების მუშაობას როგორც ჯიხაიშში, ისე მთელ რაიონში და მიღებულ იქნეს მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომები. „იაჩეიკების" სისტემის მაგივრად საერთო მეცადინეობის შემოღება პარტიის წევრებთან კოლექტივმა ვერ სცნო ჯერჯერობით მიზანშეწონილად განაგრძოს მუშაობა მიღებული წესით. ამის შემდეგ კოლექტივმა მოისმინა ზოგიერთ ამხანაგებსა და კოლექტივის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების ახსნა-განმარტება. მოხსენების შემდეგ ნათლად გამოირკვა ყველა სადაო კითხვები. ახსნა-განმარტება მისაღები გახდა ორივე მხარეების მხრით და მოხდა სრული შეთანხმება. დასასრულ კრებამ დაადგინა მოწვეულ იქნეს პარტიული კონფერენცია 19 დეკემბრისათვის, რომელზედაც უნდა გაკეთდეს მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

ნოდი.

პარტიის საარჩევნო ფონდისთვის

საქ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიის საარჩევნო ფონდისთვის დ. დუშეთიდან:

ათას ათასი მანეთი: დავით პონიშვილი, იასონ ხაზიშვილი, ალექსანდრე სარჯველაძე, ჰარმენ თოთიბაძე, ნიკო ლეჟავა და გერონტი ცეცხლაძემ. ხუთას-ხუთასი: ილიკო ტყემალაძე, ნიკო [illegible], აკაკი წიწვიძე, ვარლამ კილანდარიშვილი, არჩილ კირინთელი, გიორგი რურუა, ნ. გაჩეჩილაძე, სანდრო ფარესიშვილი, ვასო ბანცური, გენო მელთაძე, ილიკო ნადირაძე, ზენია მოისრაფიშვილი და სონ. მუსაშვილმა. ოთხას-ოთხასი: ნიკოლა არაქელოვი, მიხეილ ნაზღაიძემ. სამას-სამასი: მარია მოისრაფიშვილმა და როშან შევანაძემ. ორას-ორასი: დომენტი საჯაია, ტოლაშვილი, ს. პავლიაშვილი, ნინა კობაიძისა, ნათელა როთველიშვილი. ას-ასი: გოლა გულბათაშვილი და სტეფანე ამირხანაშვილმა. სულ 15,100 მან.

მამულისათვის თავდადებულთა სახსოვარი*)

სია მოკლულ და უკვალოდ დაკარგულთა ჯარის კაცთა 1917 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ.

1-ლი ბოლუკი.

1. ფანჩულიძე ალექსანდრე, (14 მარტი—ახალციხეში.) 2. გუბლაშვილი მიხეილი, (15 მარტი—ახალციხეში.) 3. გურალია არტემი, (მარტში—ახალციხეში.) 4. კინთურია, (შავი ზღვის ნაპირებში 1919 წ.) 5. კლდიაშვილი ალექსანდრე, (21 იანვარს 1919 წ.) 6. კიკაბიძე ინდიკო, (24 დეკემბერს 1918 წ. სომხ. ფრონტზე.) 7. კინდურია მეთო. (21 მაისს 1918 წ. ბოლშევიკ.) 8. გვანია პლატონი, (4 ივლისს ხოსტანთან.) 9. ზაქარიაძე ალექსანდრე, (16 მაისს—1919 წ. ახალციხეში.) 10. ბარტელია იგნატი, (29 დეკემბ. 1918 წ. ახალციხეში.) 11. ჭალდღონია ბაგრატი, (5 აპრილი 1919 წ. ახალციხეში.) 12. სილაგავა ივანე, (6 აპრილს 1919 წ.) 13. გოგაია ირაკლი, (6 მარტს 1919 წ.) 14. მასხარაშვილი ისაკი, (2 მარტს 1919 წ.) 15. მეძველია ვასილი, (2 მარტს 1919 წ.) 16. ცხოველიძე კაპიტონი, (5 მარტს 1919 წ.)

მე-4 ბოლუკი.

17. მარნაბაშვილი ლაზარე, (30 იანვარი 1919 წ.) 18. ბორჯანიკაშვილი იოსები, (5 თებერვალს 1919 წ. ახალც. ფრონტ.) 19. ბერძენიშვილი ვანო დავითის ძე, (2 თებერ. 1919 წ. ფარისში.) 20. გოგობერიშვილი მაღაქია, (5 თებერვ. 1919 წ. ახალციხ. ფრონტ.) 21. ლვინიაშვილი სანდრო, (3 მარტს 1919 წ. მცხეთ წმინდაში.) 22. ერიკიანცი არტაში, (30 იანვარს 1919 წ.) 23. ესიტაშვილი იოსები, (30 იანვარს 1919 წ. კადელაში.) 24. კოვლიაშვილი ლევან (30 იანვარს, 1919 წ.) 25. კობაშვილი ალექსი გიორგის ძე, (5 თებერვ. 1919 წ. ახალციხ. ფრონტ.) 26 კველიაშვილი ლევან ვასილის ძე, (5 თებერვ. ახალციხ. ფრონტ.) 27. ჩაზირაშვილი გიორგი, (1 მარტს 1919 წ.) 28. ჩოხაძე მიხეილი, (2 მარტს.) 29. გიორგაშვილი გენო, (10 მარტს.) 30. კოტუაშვილი პეტრე, (2 მარტს 1919 წ. ცხრეტში.) 31. ოტიაშვილი ნიკოლოზი, (30 მარტს 1919 წ. ბოდელაში.) 32. პაპიაშვილი მიხო, (1 თებერვალს ორჯოშანში.) 33. დოზორჯგინიძე გიორგი, (23 მარტს აჭარის წყალზე.) 34. მეფარიშვილი აკაკი, (23 მარტს აჭ. წყ.) 35. გოგმაჩაძე ვასილი, 23 მარტს აჭარ. წყ.) 36. ნინიძე ანტონი, (23 მარტს აჭ. რ. წყ.) 37. მეფარიშვილი ისიდორ, (23 მარტს აჭარის წყალზე.) 38. მორჩაძე მაკარი, (23 მარტს აჭარის წყალზე.) 39. წილოსანი ვიქტორ, (23 მარტს აჭარის წყალზე.) 40. კოტრიკაძე ფოკა, (23 მარტს აჭარის წყალზე).

(შემდეგი იქნება)

მუშათა შორის

თფილისის რკინის გზის რაიონი. 25 დეკემბერს გახსნილ იქნა რკინის გზის მე-7 რაიონის საარჩევნო ყუთი. გახსნას დაესწრნენ: ს. ს. დ. მ. პ. თფილისის რკინის გზის რაიონულ ქვეკოლექტივის წარმომადგენელი—ს. კანდელაკი, სოც.-ფედ. წარმომადგენელი — მახვილაძე, „ლენჩი 7 ს წარმომადგენელი—კ. შენგელაია და ლნ—ს" წარმომადგენელი— მ. კამკამიძე. ყუთი გაიხსნა დღის 12 საათზე; არავითარ განცხადებას ადგილი არ ჰქონია. არჩევნები დამტკიცებულ იქნა. მეშვიდე რაიონში—სადგ. თფილისიდ 6 სადგ. უფლის ციხემდე ირიცხება 2.438 მუშა მოსამსახური. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1532 ამრჩეველმა. № 1 სიამ გაიყვანა შემდეგი დელეგატები: 1) ეგნატე ველინიძე, 2) ილარიონ გიორგაძე, 3) ნიკიტა ჩიჩუა, 4) თეოფანე მეგრელიშვილი, 5) არსენ მახარაძე, 6) რაჟდენ სალუქვაძე, 7) ეპიფანე პაპაძე, 8) ივლიანე ნიკოლაშვილი, 9) გრიგოლ ცინცაძე, 10) ნოე დოლიძე, 11) ივანე კვახაძე, 12) გიორგი მანჯავაშვილი. სოც.-დემ. პარტიის სიამ (№ 1) 1481 ხმა მიიღო, სოც.-ფედ. სიამ (№ 2) 51 ხმა. მობილიზაციაში იმყოფება 50 წევრი; ბაქოში დარჩენილია 68 მუშა მოსამსახური.

ქრისტანიშვილი

თფილისი. არსენალის მთის რაიონის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, რომელსაც დაესწრნენ არსენალის, ვაზნების სახელოსნოს, საარტილერიო და საინჟინერო საწყობების ყველა მუშა-მოსამსახურენი, რიცხვით ორი ათას კაცამდე, მოისმინა რა დამფუძნებელ კრების ამხ. ნოე რამიშვილის მოხსენება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ,—დაადგინა: ენდობიან რა მთავრობის მიერ გატარებულ ნაბიჯებს,—აღუთქვამს მას ყოველნაირ დახმარებას მის მუშაობაში. ამასთანავე მთელ თავის ყურადღებას აქცევს ფრონტის ზურგის გამაგრებას და მზად არის გაუწიოს დახმარება ფრონტს როგორც ზნეობრივად, აგრეთვე მატერიალურათაც.

კრება ესალმება ფრონტზედ მდგომ სახალხო გვარდიის და ჯარს და ულოცავს მათ მომავალ დღესასწაულებს.

ფოთი. 17 დეკემბერს ფოთის რაიონის რკინის გზელთა „თავისუფლების სახლში" შესდგა ფოთის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში იყო საკითხი საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე დელეგატების არჩევის შესახებ. კრებაზე მოწვეულ იქნა ამ დროს ფოთში მყოფი ამხ. სეით დევდარიანი, რომელმაც გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ამხ. დევდარიანის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ამხანაგებმა ს. პაიჭაძემ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. დევდარიანისა,—ფოთის რაიონის რკინის გზელთა კრება ესალმება რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მას თავის სრულ დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში და მუშათა კლასის უკეთეს მომავლისაკენ სვლაში. კრება აღთქმას სდებს, რომ ყოველ წუთს მზად იქნება რესპუბლიკის სადარაჯოზე სადგომათ. ამასთანავე კრება მზადაა გასწიოს სოფლად აგიტაცია, რათა მთავრობის უკანასკნელი დადგენილება სოფლის მიერ სიმინდის შემოსავლის 10 % ის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ, იქნეს ცხოვრებაში გატარებული. ამ რეზოლიუციას ხმა მისცა ბოლშევიკ ფრანგიშვილმაც, კამათში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

აღსანიშნავია ფოთის მუშათა ცხოვრებიდან ერთი მოვლენა: ბოლშევიკები ეწევიან მუშაობას; ხოლო როდესაც საჯარო კრებაზე ჩვენი პარტიული ამხანაგები იწვევენ მათ,—ისინი სდუმან. ასე მოხდა რკინის გზელთა კრებაზეც. ბოლშევიკებს არ აღმოაჩნდათ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ ეთქვათ მუშებისათვის თავისი სიტყვა.

რიონელი.

პროვინცია

აჭკალის თემი (თფილისის მაზრა). აჭკალის თემს შემდეგი სოფლები შეადგენს: ზემო და ქვემო აჭკალა, ზემო და ქვემო გლდანი, მამკოდა, მშრალხევი ღრმაღელე და ნემცების ახალშენი დიდუბეში. დღემდე ეს სოფლები თფილისის გარე უბნის თემში შედიოდნენ. ეს თემი ვერ იყო თავის ადგილზე, ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას სათანადოთ. ბევრმა არც კი იცოდა მისი არსებობა. სოფლები უპატრონოთ იყვნენ მიტოვებულნი. ამიტომ ეს თემი დაიშალა და ოთხ თემად გაიყო. აჭკალის თემმა 7 ნოემბერს აირჩია თემის ხმოსნები 25 კაცი, რაც დაამტკიცა სამაზრო ერობამ. იმავე ნოემბრის 14 და 21 მოხდა ხმოსანთა ყრილობა. არჩეულ იქნა ხმოსანთა საბჭოს მუდმივი პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ნ. კანდელაკი, მის ამხანაგათ დ. მამულაშვილი და მდივნათ ი. ხინველი; გამგეობაში თავმჯდომარეთ კ. ჭყონია, მის ამხანაგათ ალ. ძამაშვილი და წევრად ალ. ლანგე. შემდეგ სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ს. ციციშვილი, ე. ყირიმელაშვილი, კ. სამსონია, ი. გაგლოშვილი და დ. სუხიაშვილი.

საკუთარი თემის დაარსება აქეთ ყველას სასიხარულოთ დაურჩა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს სიხარული ხან მოკლე არ დარჩეს. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თემში სულ სამი პირ.-დაწ. სკოლაა, მაგრამ არც ერთი არ არის მოწყობილი. მოსაწესრიგებელია აგრარული საკითხიც, რადგან სრულიად უმიწაწყლო მცხოვრებნი აქ ბევრია. საჭიროება დიდია. ამას კარგად გრძნობს თვით ხალხიც და აი კიდეც გაუწოდა მას ხელი დასახმარებლათ: ყველა სოფლებმა სურვილი განაცხადეს კომლეულ შეიტანონ გამგეობაში სესხის სახით ფული საოპერაციოდ 2000—20000 მ. გამგეობის მუშაობას ძლიერ აფერხებს უბინაობა. თუ ბინის შოვნა არ დაჩქარდა, გამგეობა სანთლით საძებარი გაგვიხდება და საქმეს არ მოუხდება ეს.

ამრჩევი.

რედაქტორი [illegible]

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

*) იხ. „ერთობა" № 299, 300.

განცხადებანი

ოთხი კლასის
მოწმობაზე მოსამზადებლად
ვადგენ დილის და საღამოს ჯგუფებს. ჩაწერა 9—12 ს. 4—6 ს. პლეხანოვის და ალექ.ის ქუჩის კუთხე 25/5, მაჩაიძის ბინა. (4209—6—2)

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

დოქტორი
გ. გ. მებრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 22, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ლეჩულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ქირურგიული და ქალთა სნეულების
სამკურნალო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროდუქტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—9 7 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ

ექიმი
ა. ი. [illegible]
ლეჩულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულს, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. საღამ. გუნიას ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. 17—იანვ.

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—იან.)

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე კანიევი
იღებს საბავშო და ქალის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] მისამართი [illegible] ქ. № 33. (7 იანვ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოლოვინისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ მედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყირიმიანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდე-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20 (5 იან.)

ჩერქეზოვის სახალხო კინო-თეატრი
სოციალურ დახმარების განყოფილების
(ჩერქეზოვის ქუჩ.—ავჭალის აუდიტორიის პირდაპირ).
კვირას 2 იანვარს
კინო-თეატრი გაიხსნება
დღისით 3 ს — 5 საათამდე.
საბავშვო სინემატოგრაფი
ნაჩვენები იქნება განთქმული, ზნეობრივათ აღმზრდელი და კომიკური სურათები
შესავლელი ბილეთი ბავშვების 10—30 მ., მოზრდილთათვის 40 მ.
2, 3 და 4 იანვარს, 1. განთქმული ორიგინალური თხზულება ქართველთა ცხოვრებიდან 4 მოქმედებათ ე. ნინოშვილისა.
ქრისტინე
გახო აბაშიძის მონაწილეობით, წარწერები ქართულ და რუსულ ენაზე.
2. მესამე წლის თავი სახალხო გვარდიისა
3. კომიკური
დასაწყისი საღამოს 6 საათზე. შესასვლელი ბილეთები 30—75 მ.
თეატრი ახლათ გადაკეთებულია და გათბობილია.
(ნ. 2—2)